საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 3 დეკემბერი, 2013 წელი.

№232 (7360)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ქუთაისი ქუთა ასოციაციამ ოპა კუნტეზა

③ ძეგლის ძველ ადგილზე დაბრუნება სამართლიანობის, ღირსების აღდგენის საწყისი იქნება!

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

პარაფირებული საქართველო ⑥

⑧ სანამ ექსპრეზიდენტი საზღვარგარეთაა, მის მოძრაობაში გაჩაღდა მეტოქეობა პორტფელებისთვის

ეს არის დასავლეთის არა რეკომენდაცია, არაქედ უპირობო დიქტატი... ⑤

⑨ გალაკტიონი - რეზო ადამიას „პლანეტარიუმში“

„ხოხობი“ უნდა იყოს თბილისის მერი? ④



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ჩაი ჩვენი, ქართული

მწვანე ოქროთი „ნაციონალები“ არ ინტერესდებოდნენ

ზეობის პერიოდში წინა ხელისუფლებამ ბევრი უაზრო ნაბიჯი გადადგა, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ქვეყნის განვითარება. სერიოზული საფრთხეები შეუქმნა სტრატეგიულ დარგებს, მათ შორის მეჩაიეობას.

ჩაის კულტურა საქართველოში 1848 წელს შემოიტანეს. მისთვის სასურველი კლიმატის გამო, ის მალე გავრცელდა დასავლეთ საქართველოში. ამ კულტურის მეშვეობით ქვეყანა ცნობილი გახდა არა მხოლოდ ყოფილ საბჭოეთში, არამედ მთელს მსოფლიოშიც.

ოზურგეთში, ანასეულში ჩაის მრეწველობის და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი 1931 წელს გაიხსნა, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ის პირდაპირ ექვემდებარებოდა სსრკ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ის ამ დარგში მომუშავე ერთადერთი სამეცნიერო ცენტრი იყო საბჭოთა კავშირში. მას ფილიალები ჰქონდა სოხუმში, ფოთში, ზუგდიდში, ჩაქვში, წყალტუბოში და ადიღეს ავტონომიურ ოლქში, მაგრამ სისტემის შეცვლის შემდეგ, სრულიად მოიშალა მისი მართვისა და დაცვის მექანიზმები. თუ შევარდნაძის პერიოდში ინსტიტუტი დააკონსერვეს, ნაცების პერიოდში დაიწყო მისი ნგრევისა და ძარცვის ეპოქა. არადა, ინსტიტუტი იმდენად პოპულარული და ავტორიტეტული იყო, რომ მასთან კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული 200-წლიანი სტაჟის მქონე ინგლისის როტამსტედის კვლევის ცენტრს.

ანასეულში პრაქტიკის გაცნობისა და სტაჟირებისთვის ჩამოდიოდნენ ცნობილი მეცნიერები აშშ-დან, კორეიდან, ვიეტნამიდან, თვით უდიდესი ჩაის მწარმოებელი ქვეყნიდან ჩინეთიდანაც კი. ტარდებოდა მინდვრის ცდები, გაცვლითი სამუშაოები, როგორც ამ კვლევითი ცენტრის ყოფილი დირექტორი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ასოცირებული პროფესორი არსენ კეჭეყმაძე აცხადებს, თურქეთში გაშენებული ჩაის ფართობების უდიდესი ნაწილი ქართული სელექციის ჯიშებია.

ქვეყანაში სისტემის შეცვლას მოჰყვა ინსტიტუტის სტატუსის ცვლილებებიც, რასაც თან დაერთო სტრუქტურული დაქვემდებარების არაერთგზის შეცვლა, ბედოვლათმა წინა ხელისუფლებამ სამეცნიერო კვლევით ცენტრს 2006 წელს იურიდიული პირის სტატუსი მიანიჭა, მაგრამ ყოველივე გაკეთდა ქონების გადაუცემლად. დაწესებულებაში დღესაც არ იციან, რა ეკუთვნით, ამჟამად რისი მფლობელები არიან. ყოფილი ცენტრის ტერიტორიას იტაცებენ, ჰყიდიან, იჯარით ასხვისებენ, საცდელი ნაკვეთების გარეშე დარჩენილმა სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა რა კვლევები უნდა ჩატაროს, – აცხადებს ინსტიტუტის ამჟამინდელი დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ რევიშვილი. მისივე თქმით, ვაკქანალიაა სტრუქტურულ დაქვემდებარებაშიც. ინსტიტუტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკუთვნის, ქონებას კი ეკონომიკის სამინისტრო განკარგავს. არც ერთ ამ უწყებაში არ არის გარკვეული, თუ რა ქონებას ფლობს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი.

წინა ხელისუფლებამ დარგი იმ დროს დატოვა უპატრონოდ, როდესაც მსოფლიოში სულ უფრო იზრდება ჩაის მოხმარება, ძირითადად ითხოვენ მაღალხარისხიან პროდუქციას, არადა საქართველოს აქვს საექსპორტო ჩაი. თუ სახელმწიფო არ იზრუნებს დარგის გადასარჩენად, ქვეყანა დაკარგავს დარგსაც და მილიონობით დოლარის შემოსავალსაც.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან ცანავა სინანულით ამბობს, რომ გაუხეშდა, გავერანდა პლანტაციები. ამას ემატება დაბალი ანაზღაურება, რის გამოც კვალიფიციური კადრები საზღვარგარეთ მიდიან. ქართველი ქალები საზღვარგარეთ, თურქეთში კრეფენ ჩაის, მაშინ, როდესაც საკუთარი მოუვლელია.

ცანავას განმარტებით, სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის შემთხვევაში მეჩაიეობაში ჯერ კიდევ არის მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების შანსი და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. იქნება ექსპორტი, შემოვა სოლიდური თანხები.

დოქტორი დასაქმების პრობლემასაც ეხება, მისი აზრით, ამ კუთხით ჩაის კონკურენტი არ ჰყავს. ხელშეწყობის შემთხვევაში, ამ პრობლემას უცებვე მოევლება იმ რეგიონებში, სადაც ადრე ჩაის კულტურა იყო განვითარებული.

პროფესორი იმასაც ამბობს, რომ საქართველოში ამ კულტურის 70% განლაგებული იყო ეროზიასაშიშ ზონებში. ჩაის ბუჩქის ფესვს ის თვისება აქვს, რომ ზღუდავს წყლისმიერ ეროზიას, როცა ჩაის მიმართ ყურადღება შენელდა, ხალხმა მისი ამოძირკვა დაიწყო. შედეგად მივიღეთ კატასტროფები აჭარაში და სხვაგან – ასკვნის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ჩაის ნარგავების ადგილას ერთწლიანი კულტურების დათესვა ვნებს და ფიტავს ნიადაგს, საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, და მოუსავლიანს ხდის მას.

ცანავა თვლის, რომ თუ ახალმა ხელისუფლებამ მეჩაიეობის განვითარებას მიაქცია ყურადღება, ისინი დამოუკიდებლად შეძლებენ თავის დამკვიდრებას მსოფლიო ბაზარზე.

ზაზა ბილიხოძე

◎ დევნა?

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურაში ადვოკატ თანდილა ჯოლოგუას მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს!

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ **ზაზა ხატიაშვილმა** სამეგრელოს რეგიონში მისი წარმომადგენლის, ადვოკატ **თანდილა ჯოლოგუას** მიმართ, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის მიერ განხორციელებული დევნის გამო განცხადება ბრიუსელიდან გააკეთა: **„ადვოკატი თანდილა ჯოლოგუა სამოქალაქო საქმის მორიგებით დამთავრების შემდეგ, წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით დაიბარეს და დაკითხეს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურაში. ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიამ საგამოძიებო ორგანოებში ქართველ ადვოკატთა დაბარებები და დაკითხვები შეაფასა, როგორც ადვოკატთა დევნა. ადვოკატი თანდილა ჯოლოგუა დაეხმარა კლიენტს ავტომანქანის დაბრუნებაში. იმის გამო რომ მისი მოწინააღმდეგე მხარე აღმოჩნდა „ქართული ოცნების“ აქტივისტი, პროკურატურა ცდილობს, დააშინოს ადვოკატი“,** – ნათქვამია ზაზა ხატიაშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ზაზა ხატიაშვილი 2013 წლის 29 ნოემბერს მონაწილეობდა ბრიუსელში გამართულ ადვოკატთა ასოციაციისა და სასამართლო საბჭოს პლენარულ სესიაში, სადაც განიხილეს ცნობილი ადვოკატის თანდილა ჯოლოგუას მიმართ განხორციელებული ძალადობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გაგვიზიარა თვით ადვოკატმა თანდილა ჯოლოგუამ: ***„ჩემთან როგორც ადვოკატთან 2013 წლის 16 ოქტომბერს გამოცხადდა ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის მკვიდრი ქალბატონი ციალა გუგუჩია, რომელმაც წარმოადგინა განცხადება სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორის ვალერიან იოსავას სახელზე, რომელშიც აღნიშნულ იყო, რომ მისმა ყოფილმა მეუღლემ ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბერში მცხოვრებმა ჰამლეტ ყურუამ მოტყუებით მიისაკუთრა მისი კუთვნილი ავტომანქანა „ოპელ ასტრა“. მე გადავწყვიტე შემეხვედრებინა ისინი ერთმანეთთან, რათა მორიგებულიყვნენ... ისინი მართლაც შეხვდნენ ერთმანეთს და მორიგდნენ კიდეც, ყურუამ თავის ყოფილ მეუღლეს მანქანა დაუბრუნა, თუმცა, მოითხოვა ხელწერილის დაწერა, რაც დაკმაყოფილდა კიდეც. სამი დღის შემდეგ ყურუამ მიჩივლა საოლქო პროკურატურაში – ჯოლოგუამ შემაშინა, დაგიჭერენო და ამიტომაც დავთანხმდი მანქანის გადაცემაზეო. დამიბარეს საოლქო პროკურატურაში და ჩემ მიმართ სისხლის სამართლის საქმე“ აღძრეს.**

– ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე, თანაც, როდესაც ხელთა გაქვს ხელწერილიც, რატომ აღძრა საოლქო პროკურატურამ თქვენს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე?

– სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომელთა უმეტესობა ძველი კადრია და მე მათ არ მოვწონვარ, ჩემი პირადი ინტერესი აქვთ, რადგან ბევრჯერ მომიწვევია პრესკონფერენცია და გამიხმაურებია მათი არასწორი მოქმედებები, როგორც პირველ ოქტომბრამდე, ისე პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. ჩემს მიერ შეტანილი არც ერთი საჩივარი დღემდე განხილული არ არის, ხოლო უკვე ყოფილი საოლქო პროკურორი ვალერიან იოსავა საერთოდ მწყრალად იყო განწყობილი ადვოკატების მიმართ. რასაც ახლა ისინი აკეთებენ ეს არ გაკეთებულა „ნაციონალების“ ბატონობის ხანაში. მე ვარ მებრძოლი, შეუვალი ადვოკატი და ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვინ რომელი პარტიის წარმომადგენელია... ამიტომაც უნდათ ჩემი მოშორება.

– ზაზა ხატიაშვილი აცხადებს რომ თქვენი მოწინააღმდეგე მხარე არის ქართული ოცნების აქტივისტი და ამიტომაც ცდილობს პროკურატურა თქვენს დაშინებასო. ვინ არის ეს აქტივისტი?

– ის ვინც მე მიჩივლა – ჰამლეტ ყურუა მართლაც ქართული ოცნების აქტივისტია და მეზობლობა აკავშირებს საოლქო პროკურატურის თანამშრომლებთან. სწორედ საოლქოს თანამშრომლებმა ურჩიეს მას ეჩივლა პროკურატურაში ჩემ წინააღმდეგ. მე კი მეუბნებიან, – ჩვენ რა ვქნათ, – ყურუა ქართული ოცნების აქტივისტია, იმან გიჩივლა და საქმე რომ შევწყვიტოთ კარგი დღე არ დაგვადგებაო. მაგრძნობინეს, რომ ყურუას დიდი მფარველები ყავს და ამიტომაც შენ უნდა დაისაჯოო.

– როგორ აპირებთ ამ დგომარეობიდან გამოსვლას?

– რა თქმა უნდა, ვიბრძოლებ ბოლომდე. მე გვერდში მიდგას ადვოკატთა მთელი კორპუსი. თქვენც ისმენდით, რომ დამირეკა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის წარმომადგენელმა აჭარაში, ქალბატონმა თავმჯდომარის წარმომადგენელმა აჭარაში, ქალბატონმა ლელა ბუალავამ, მთელი აჭარის ადვოკატები მზად არიან, ჩამოვიდნენ ზუგდიდში და დამიდგნენ გვერდით. მე კახათელი კაცი ვარ და კანონის ფარგლებში ვიცავდი ჩემი თანასოფლელის, ქალბატონ ციალა გუგუჩიას ინტერესებს. ყოველივე ამის გამო აღშფოთებულნი არიან კახათელები. საბედნიეროდ, ვალერიან იოსავა ჩამოაშორეს საოლქო პროკურატურას და მე დიდი იმედი მაქვს, რომ ახალი საოლქო პროკურორი გიზო უბილავა დაადგენს სიმართლეს. და ბოლოს, მინდა ერთი განცხადება გავაკეთო: ის თანამშრომლები, რომლებიც ახლა მუშაობენ სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურაში შეგნებულად, მტრულად განაწყობენ მოქალაქეებს ახალი მთავრობის წინააღმდეგ, რათა ახალ მთავრობას საზოგადოებაში იმიჯი შეელახოს...

ლადო ქირია,
ზუგდიდი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

- **სანამ შპაკატზე ჩამჯდრები პირით არ აიღებთ ევროპასთან ასოცირების შეთანხმების დაკუმენტს, მანამდე მე მაგ ნაჯღაბნს ლეგიტიმურად არ ვცნობ!**
- **პარაფირებისფრად გათენდა!**
- **ჰააგის მარშუტკებში ნინო ჩხეიძის მოსმენა დაუწყიათ.**
- **გიხაროდენ! იბერია პარაფირდა!**
- **ორივე მაჭავარიანი კმაყოფილია! ერო ამოისუნთქე?**
- **ისეთ დღეში ვარ, შალახო თუ არ დაუკრეს, ხელის მოწერას ვინ დაეძებს, სტატუსებს ვეღარ ვწერ ფბ-ზე.**
- **შაბათს ქორწილში მივდივარ და ალბათ „შალახოს“ ზაკაზი 10 ლარის მაგივრად 50 ევრო იქნება.**
- **შემდეგ სამიტზე რეიკიავიკში მიწვეულები არიან „ქსოვრელები“, სიმღერით „ჩემო კაკლის მურაბა“.**
- **გამოცდილ თამადებს ვეკითხები, პარაფირების სადღეგრძელო რის მერე უნდა შაისვას?**
- **ვაშლი რომ მევასება, კარენნოი თბილისელობის ბრალია, თუ ვინმე მყავს წინაპრებში გორელი?**
- **პარაფირება ძველევროპული ტერმინია და ქართულად „თუ კარგად მოიქცევით, წყალსაც ჩაგისხამთ“-ს ნიშნავს.**
- **კი მადლიერება და რამე... გასაგებია, მაგრამ ბიძინასთვის უკანონოდ წართმეული ქონება ყოველგვარი კომისიის და სასამართლოს გარეშე დაბრუნდა და ანალოგიურ შემთხვევებზე რატომ არის საჭირო კომისია?**
- **26 მაისის დარბევის მერე უკრაინის მთავრობამ რამე განაცხადი გააკეთა? მე რაღაც არ მახსოვს.**
- **2008 წელს ჩატარებული პლებისციტის, თუ რეფერენდუმის თანახმად, ამომრჩევლის 30%-მა უარი თქვა საქართველოს გაწევრებაზე ნატოში. თუ თავდაცვის მინისტრის ლოგიკას მივყვებით, „კონტრდაზვერვის სპეცსამსახურებმა“ ამომრჩევლის ეს 30% თვალთვალის, მოსმენის ობიექტად უნდა აქციონ და სამშობლოს მტრად გამოაცხადონ. მეორე – თუ ხელისუფლებას აქვს სწრაფვა, რომ გავწევდეთ ნატოში, რაც, ხაზს ვუსვამ, ჩემი სწრაფვაცაა, რატომ უშლის მას ხელს საზოგადოებრივი აზრი?! რატომ აღიქმება საფრთხედ ნატოზე განსხვავებული აზრი?! შედით, ბატონო, შედით და მხოლოდ გაგვეხარდება... მაგრამ რომ ვერ შედიხართ?!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ძეგლის ძველ ადგილზე დაბრუნება სამართლიანობის, ღირსების აღდგენის საწყისი იქნება!

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

მოგეხსენებათ, რამდენიმე წლის წინათ დედაქალაქის შუაგულიდან დავით აღმაშენებლის ძეგლი ქალაქის გარე ტერიტორიაზე გადაიტანეს, სადაც დღეს დამატებით სატრანსპორტო გვირაბი გაჩნდა და ძეგლთან მისვლის საშუალება საერთოდ მოისპო. **ღირსეულ მეფეს ღირსეული ერი ასე არ ექცევა!** ვაგლახ, რომ ერისა და ბერის სიტყვას არავინ ისმენდა, დავით აღმაშენებლის ძეგლის ზეაწეული მარჯვენა მიგვანიშნებს და გვახსენებს მისივე სიტყვებს: **„რომლისაცა წინაშე ქედდადრეკილ არს ყოველი“**. სწორედ ის ღვთისკენ მიანიშნებდა აწუხებდა და აღიზიანებდა ეკლესიების მნგრეველ ძველ ხელისუფლებას, ამიტომ მოაშორეს იგი ხალხმრავალ ადგილს.



რადგან ჩვენმა ქვეყანამ მყარად გადაწყვიტა დემოკრატიის გზით სვლა, სამართალი ითხოვს დავით აღმაშენებლის ძეგლის ძველ ადგილას დაბრუნებას. მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლი სიბრძნისა და რაინდული სულის სიმბოლოა, ჩვენი გმირული ისტორიაა, ამიტომ იგი დედაქალაქის გულში უნდა იდგეს, იქ, სადაც უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.

დღეს, როცა საქართველოს ახალი პრეზიდენტი, ახალი პრემიერ-მინისტრი და განახლებული მთავრობა ჰყავს, საზოგადოება ძეგლის ძველ ადგილას დაბრუნებას მძაფრად ითხოვს, რისთვისაც თქვენ მოგმართავთ, ბატონო ირაკლი: აღასრულეთ ნება ხალხისა, იწყება ახალი ერა აღმშენებლობისა, გწამდეთ, ქართველი ხალხი თქვენს გვერდით მყარად იდგება, რადგან დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანით დაიწყო ყოველგვარი უსამართლობა. ძეგლის ძველ ადგილზე დაბრუნება სამართლიანობის, ღირსების აღდგენის საწყისი და დემოკრატიული ქვეყნის შენებაში საზოგადოების ენერგიისათვის დიდი მუხტი იქნება.

ჟაბუა ამირეჯიბი — მწერალი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი (ბერი დავითი);
ოთარ კვესიტაძე — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი;
თამაზ გამყრელიძე — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ეროვნული აკადემიის საპატიო თავმჯდომარე;
მარიამ ლორთქიფანიძე — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
ეთერ ქემერტელიძე — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
რევინ მეტრეველი — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;
ოთარ ჯაფარიძე — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
ვლადიმერ პაპავა — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;
ირაკლი ჭორდანია — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
მერაბ მერაბიშვილი — მოქანდაკე, საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
რამაზ ხუროძე — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
თამაზ შილაკაძე — დამსახურებული ინჟინერ-გამომგონებელი;
მინდია სალუქვაძე — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
რომან შაძარიშვილი — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
რეზო ამაშუკელი — პოეტი;
ჯანსულ ჩარკვიანი — პოეტი;
გურამ დოჩანაშვილი — მწერალი;
ვაჟა ოთარაშვილი — მწერალი;
ერეკლე სალღანი — პოეტი;
რეზო ჩხეიძე — კინორეჟისორი;
ლანა ღოღობერიძე — კინორეჟისორი;
ედგარ შენგელაია — კინორეჟისორი;
თემურ ჩხეიძე — თეატრისა და კინოს რეჟისორი;
რობერტ სტურუა — რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი;
ვახტანგ კახიძე — სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი;
პაატა ბურჭულაძე — ოპერის მომღერალი, ფონდ „იავნანას“ დამფუძნებელი;
ლადო ათანელი — ოპერის მომღერალი;
დიმა ჯაიანი — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი;
ვახტანგ ყოლბაია — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;
კახი კავსაძე — საქართველოს სახალხო არტისტი;
ნოდარ მგალობლიშვილი — საქართველოს სახალხო არტისტი;
გია ბურჯანაძე — მსახიობი;
ნუნუ დულაშვილი — კომპოზიტორი;
მარიკა კვალიაშვილი — კომპოზიტორი;
მაცაცო სეფისკვერაძე — კომპოზიტორი;
ვაჟა აზარაშვილი — კომპოზიტორი;
თემო გოცაძე — სახალხო მხატვარი;
გივი თოიძე — სახალხო მხატვარი;
ნონა გაფრინდაშვილი — ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში;
ნინო სალუქვაძე — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ტყვიის სროლაში;
გურამ სალარაძე — ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში;
გულიკო ჩაფიძე — ექიმი, პროფესორი, მედიცინის აკადემიის წევრი;
ლადო კახაძე — ექიმი;
ლაურ მანაგაძე — ექიმი, პროფესორი;
რამაზ ყურაშვილი — ექიმი;
გოგი თოფაძე — პარლამენტარი;
ზურაბ ტყემალაძე — პარლამენტარი;
გოგი ძავთარაძე — პარლამენტარი;
თამაზ ყაჭეიშვილი — პარლამენტარი;
ომარ მხეიძე — მოცეკვავე, საქართველოს სახალხო არტისტი;
ფრიდონ სულაბერიძე — მოცეკვავე, საქართველოს სახალხო არტისტი;
ანზორ ერქომაიშვილი — საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე;
ვახტანგ დავითაია — არქიტექტორი;
გიგა ბათიაშვილი — არქიტექტორი;
ვალერი ასათიანი — კულტურის დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი;
თამაზ ჟილაძე — მწერალი;
ზურაბ ნიჟარაძე — სახალხო მხატვარი;
მინდია უგრეხელიძე — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ეთერ კაკაბაძე — მოქანდაკე, პროფესორი.

◎ ინფორმაცია

რატომ არ სურთ ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა?

2011 წელს ტერაქტის მოწყობაში ბრალდებული დავით კეკუტიას და ნანა კეკუტია საქართველოს მთავრობას მიმართავს. ნანა კეკუტია მოითხოვს, შეიქმნას მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია, რაც, იმ ადამიანების ერთადერთი იმედია, ვინც თავს უდანაშაულოდ ცნობს.

დავით კეკუტია, 2011 წელს ე.წ. კოჭოიას საქმეზე მუხიანსა და ლეიბორისტული პარტიის ოფისთან განხორციელებულ აფეთქებებშია ბრალდებული, თუმცა, ის თავს დამნაშავედ არ ცნობს.

ნანა კეკუტია აცხადებს, რომ მის ძმაზე განხორციელდა ფიზიკური ზეწოლა, თუმცა, ამის მიუხედავად, მან დანაშაული არ აღიარა.

ნანა კეკუტიას თქმით, მათ რაიმე ფინანსური დაინტერესება არ აქვთ და უბრალოდ საქმის გადასინჯვას მოითხოვენ. იგი იმედოვნებს, რომ საქმის ხელახალი განხილვის შემდეგ, მისი ძმა უდანაშაულოდ იქნება ცნობილი.

საგანელიძის ოცნება ბიზნესში დაბრუნებაა

დავით საგანელიძე სადეპუტატო უფლებამოსილების მოხსნას აპირებს. როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, საგანელიძე პოლიტიკიდან ბიზნესში ბრუნდება.

ამასთან, გამორიცხული არ არის, დავით საგანელიძემ პარლამენტი საშემოდგომო სესიის დასასრულს დატოვოს.

აღნიშნული საკითხი უკვე განხილვის საგანი იყო კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს ბოლო სხდომაზე, რომელშიც ბიძინა ივანიშვილიც მონაწილეობდა. პოლიტიკიდან წასვლა საგანელიძის პირადი გადაწყვეტილებაა და მან კოლეგებს და კოალიციის ყოფილ ლიდერს განუმარტა, რომ საქმიანობის ბიზნესსექტორში გაგრძელება სურს. კოალიციის პოლიტსაბჭოს წარმომადგენლებმა და ბიძინა ივანიშვილმა საგანელიძეს მადლობა გადაუხადეს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის რანგში გაწეული მუშაობისთვის, ასევე იმ საქმიანობისთვის, რომელიც მან გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობის თვალსაზრისით გასწია.

ამასთან, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის თანამდებობაზე მმართველ უმრავლესობაში ირაკლი ტრიპოლსკის კანდიდატურა განიხილება. პოლიტსაბჭოს სხდომაზე ეს საკითხიც განიხილეს.

დავით საგანელიძემ „ინტერპრესნიუსს“ დაუდასტურა, რომ პოლიტიკიდან წასვლას აპირებს, თუმცა, არ აკონკრეტებს, როდის განახორციელებს ამ გადაწყვეტილებას. საგანელიძე ასევე თავს იკავებს პოლიტსაბჭოზე გამართული საუბრის დეტალების გახმაურებისგან.

„მიფრინავენ ოცნებები“

გუშინ სახელმწიფო კანცელარიასთან აქცია სახელწოდებით „მიფრინავენ ოცნებები“ გაიმართა. კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივის“ ორგანიზებით გამართული აქციის მონაწილეებმა ლურჯი ბუშტები ხელისუფლების მიერ ერთი წლის წინათ გაცემულ დაპირებებთან ერთად ჰაერში გაუშვეს.

როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ლაშა ფარულავამ განაცხადა, აქციის მიზანი იყო მთავრობისთვის კიდევ ერთხელ შეეხსენებინათ ის დაპირებები, რაც მათ ერთი წლის წინათ გასცეს. მისი თქმით, არც ერთი დაპირება დღემდე შესრულებული არ არის.

აქციის მონაწილეებმა მთავრობას მოუწოდეს იმუშაოს და წინასაარჩევნო დაპირებები შეასრულოს.

აქციაზე პლაკატებიც წარმოადგინეს წარწერით — „აშენებულია ივანე მერაბიშვილის ხელმძღვანელობით“.

„ხოხობი“ უნდა იყოს თბილისის მერი?

როგორი მერი უნდათ თბილისელებს? ეს კითხვა მათ თავსატეხად იქცა. ზოგისთვის სულერთია, ვინ გახდება თბილისის მერი, მთავარია, იგი კარგი მეურნე აღმოჩნდეს და პასპორტში დაბადების ადგილად რაც უნდა, ის ეწეროს. არიან ისეთებიც, რომლებიც თბილისელობის შეურაცხყოფად მიიჩნევენ არათბილისელი მერის კანდიდატურას და, როგორი უნაკლოც არ უნდა იყოს ზუგდიდელი დავით ნარმანია, მას მაინც უძებნიან ერთ ძირითად მინუსს – ნარმანიას „თბილისი არ ესმის“ და ის ვერისა და ნახალოვკის მაჯისცემას ვერ იგრძნობს... ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს მსახიობი და ტელეწამყვანი გია კორკოტაშვილი („კორკოტა“) და უფრო ლევან გაჩეჩილაძის კანდიდატურისკენ იხრება. იმასაც ამბობენ, რომ ამ ფრთის გამარჯვებით ნინო ბურჯანაძეა დაინტერესებული. თუმცა, რეალობა ისაა, რომ ამ ეტაპზე თბილისის მერის სავარაუდო კანდიდატებად სახელდებიან დავით ნარმანია, ლევან გაჩეჩილაძე, კახა კუკავა და ნაციონალი გიორგი ვაშაძე.

სოციალურ ქსელებში უკვე დაიწყო კამპანია – „თბილისელი – თბილისის მერად“. მართალია, მავანი იკითხავს, რა დროს თბილისელობაზე აქცენტის გადატანაა, როცა ბოლო წლებში, სამწუხაროდ, „თბილისი ერთ დიდ მისამართად იქცა“ (როგორც ამას პოეტი გიზო ნიშნიანიძე იტყოდა), მაგრამ, როგორც ჩანს, თბილისის მერს ისევე სთხოვენ თბილისელობას, როგორც აშშ-ის პრეზიდენტს – მაინცდამაინც ამერიკის ტერიტორიაზე დაბადებას...

ერთიც კია, თბილისელებს თბილისში დაბადებული მერებიც ახსოვთ. ბოლოდროინდელ მერზე რომ არაფერი ვთქვათ, თბილისში იყვნენ დაბადებულნი ნიკო ლეკიშვილი, ბადრი შოშიტაშვილი, ვანო ზოდელავა...

რაც შეეხება მოქმედ მერს – გიგი უგულავას, მისი თქმით, თბილისის მერობისთვის არანაირი მზა სტანდარტი არ არსებობს – არც თვალის ფერით, არც წარმომავლობით, არც განათლებით და თბილისის მერი იქნება ისეთი, როგორსაც თბილისის მოსახლეობა აირჩევს.

თუმცა, გიგი უგულავას, ალბათ, კარგად ახსოვს ის დრო, როცა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად გამწესებულს იქაურები მეგრულის არცოდნას უწუნებდნენ და კითხულობდნენ, მეგრული არ იცის და მეგრელებთან რა უნდაო?! ამის შემდეგ გიგი უგულავა თურმე მეგრულის შესწავლას შეუდგა და, როგორც თავად ამბობს, სიტყვა „ორჭოფუნქ“ (დაგაპატიმრებ) აუთვისებია და გვარიანად აუღელვებია მეგრელები.

ასე რომ, მარტო თბილისელებს ვერ ვუსაყვედურებთ, თუ ისინი მაინცდამაინც თბილისელ მერს ნატრობენ და არად დაგიდევენ, რომ, შესაძლოა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის საქმიანობა ისე აფიშირებული არ არის, მაგრამ დედაქალაქიდან გასვლისას, ნარმანიას უწყების საქმიანობა და განუწყვეტელი მშენებლობები თვალშისაცემია. რაც შეეხება გია კორკოტაშვილს, მისი აზრით, თბილისის მერის საკითხი მარტო „ოცნების“ გადასაწყვეტი არ უნდა იყოს და თბილისის მერმა უნდა იცოდეს, როგორ სუნთქავს ქალაქი და იგი უნდა აფასებდეს კოლორიტ ადამიანებს.

ვინ არის თბილისელებისთვის სასურველი მერი – კარგი მეურნე თუ მაინცდამაინც თბილისში დაბადებული პიროვნება?! ამის შესახებ თავად თბილისელებისა და ექსპერტების მოსაზრებით დავინტერესდით.

ექსპერტი **სოსო ცისკარიშვილი** ფიქრობს, რომ თბილისი არ არის რიგითი ქალაქი და, როგორც დედაქალაქს, მას აქვს წვდომა საქართველოს ნებისმიერ მოქალაქესთან. ამდენად, დაბადების ადგილი არ განსაზღვრავს ადამიანის წარმატებულობას. არც ჩვენი კანონმდებლობა განსაზღვრავს მოთხოვნებს ქალაქის მერის მიმართ, გარდა იმისა, რომ ის უნდა იყოს არჩეული.

ექსპერტის აზრით, რასაკვირველია, თავისებურება ბევრი აქვს თბილისს და აჯობებდა, ამ თავისებურებებს ბავშვობიდანვე ეცნობოდეს თბილისელი, მაგრამ მერის თანამდებობა უფრო მაღალი პასუხისმგებლობითი დატვირთვისაა და ამიტომ საუბარი, გინდა თუ არა, თბილისელი უნდა იყოს თბილისის მერი, ნაკლებად მისაღებია. მთავარია, რამდენად იცის ამ ადამიანმა თბილისი, რამდენად ბუნებრივი იქნება მისთვის თბილისის მერის თანამდებობა.

„კონკრეტულ პიროვნებებს არ შევეხები, მაგრამ მოდით, თითოეულმა თბილისელმა ჩათვალოს, რომ სწორედ ის არის მერობის კანდიდატი და ვნახოთ, ვინ როდის მოხსნის თავის კანდიდატურას. ასობით ათასი ადამიანი, რომელიც არჩევნებზე მივა, ჯერ შეეცადოს, საკუთარი თავი წარმოიდგინოს ამ თანამდებობაზე. ამის შემდეგ მათ უფრო გაუადვილდებათ სწორი არჩევანის გაკეთება. ჩემი წინადადებიდან გამომდინარე, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ მეც ვარ მერობის კანდიდატი“, – აღნიშნა სოსო ცისკარიშვილმა ჩვენთან საუბარში.

მისთვის მიუღებელია იმაზე მსჯელობა, რომ ქალაქის მერი თურმე არ უნდა იყოს პოლიტიკოსი, რადგან სულაც მეხინკლემ რომ დაიკავოს ეს თანამდებობა, არჩევის დღიდან ის უკვე პოლიტიკოსია. ამიტომ სოსო ცისკარიშვილის აზრით, უმჯობესია, მერად არჩევამდე ადამიანს სახელმწიფო ან პარტიულ საქმიანობაში ოდნავი გამოცდილება მაინც ჰქონდეს. გარდა ამისა, თბილისის მერი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც მუსიკოსთან მუსიკის მოყვარული იქნება, სპორტსმენთან – სპორტის მოყვარული, პენსიონრებთან – გულისხმიერი, ჯანდაცვის სისტემასთან მიმართებით – ბუნებით მკურნალი და არა სადისტური მიმართულების მქონე, ლიფტისა და კანალიზაციის ოსტატებთან - მეურნე, ხოლო პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან – პოლიტიკოსი.

ამიტომ სოსო ცისკარიშვილი თვლის, რომ ძალიან ბევრი მოთხოვნაა საიმისოდ, რომ დედაქალაქის მერი სრულყოფილი იყოს. ამ კონტექსტში მერის წარმომავლობა ყველაზე ნაკლები მახასიათებელია.

„შეიძლება, ადამიანი თბილისელი გახდეს მეხუთე კლასიდან, მეათე კლასიდან, პირველი კურსიდან, ან კიდევ, ასპირანტურიდან. ამასთან, მერისთვის გადაწყვეტილების მიღება ნაცნობი ხილი უნდა იყოს. უნდა ვეცადოთ, არ აღმოჩნდეს ახლადარჩეული მერი ლიდერის პრინციპის მსხვერპლი, რომლის მიხედვითაც, ადამიანი თავისი კარიერის კიბეზე ადის საკუთარი არაკომპეტენტურობის საფეხურამდე და მერე ეშვება ქვევით. ამიტომ თითოეულმა კანდიდატმა უნდა აწონოს საკუთარი შესაძლებლობები, იყოს გულწრფელი საკუთარ თავთან და, თუ რომელიმე კანდიდატი მოექცევა ვინმეს ზეგავლენის ქვეშ, მას ნაკლები წარმატება ექნება მერობის პროცესში“, – განმარტა ექსპერტმა.

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** მიიჩნევს, რომ წარმომავლობის გამო ადამიანის დაწუნება სიახლე არ არის საქართველოსთვის. ასეთი განწყობები არსებობდა და დღესაც არსებობს. თუმცა, მიდგომა, რომ თბილისის მერი მაინცდამაინც თბილისელი იყოს, გაუმართლებელია. ასეთ შემთხვევაში, ის მაინც უნდა დავადგინოთ, რას ნიშნავს თბილისელობა, რომელი თაობის ადამიანი ითვლება თბილისელად და რომელი უბნელი უნდა იყოს. ამდენად, სრულიად წარმოუდგენელია, დაბადების მიხედვით განვსაზღვროთ, ვინ იქნება თბილისის მერი.

„თუ თბილისის მოსახლეობის უმრავლესობა ისე ფიქრობს, როგორც „კორკოტა“, ან ზაზა პაპუაშვილი, მაშინ ისინი აირჩევენ თავიანთ რჩეულს. რეალურად კი, თბილისის მერი უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც შეუძლია, უსელმძღვანელოს მეურნეობას. თბილისი არის ვეებერთელა ქალაქი, სადაც საქართველოს მოსახლეობის ლამის ნახევარი ცხოვრობს. ამიტომ თბილისის მერმა უნდა მოაგვაროს მოსახლეობის პრობლემები, თბილისელებისთვის სოციალური და კომუნალური გარემო შექმნას. რატომ გააკეთებს ამას თბილისელი უკეთესად და რატომ ვერ გააკეთებს ამას არათბილისელი, არ მესმის. თბილისის მერის პოსტი მაინც პოლიტიკური პოსტია. თუ მოსახლეობის მხარდაჭერას მოიპოვებს, მერს ექნება პერსპექტივა, მომავალში პოლიტიკური კარიერა გაიკეთოს და პრეტენზია განაცხადოს პრეზიდენტის ან პრემიერის პოსტზე. ასე რომ, თბილისის მაჯისცემაში ცოტა სხვა რაღაც იგულისხმება,“ – გვითხრა ვახტანგ ძაბირაძემ.

ექსპერტმა აქვე განმარტა, რომ დეტალურად არ იცნობს დავით ნარმანიას საქმიანობას, მაგრამ მისთვის ცნობილია, რომ გარკვეული პროექტები, რომლებიც ნარმანიამ ეკონომიკურად არამომგებიანად და უსამართლოდ ჩათვალა, შეაჩერა. მართალია, მათ იცოდნენ, რომ ესეც ბიუჯეტის შეუსრულებლობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი იქნებოდა, მაგრამ ამ რისკზე წავიდნენ და არ გააკეთეს ის, რისი გაკეთებაც არ ჩათვალეს საჭიროდ.

„ასევე, თბილისის რკინიგზასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ ეს პროექტი ქვეყნისთვის მომგებიანი უნდა იყოს. ამიტომ, თუ ამ კუთხით შევხედავთ, ნარმანია თავის პოსტზე ნორმალური მინისტრია. ერთ წელიწადში ინფრასტრუქტურა ქვეყანას არ დაეტყობოდა. რაც შეეხება დანარჩენ კანდიდატურებს, არ ვიცი, ვინ ვისი ფავორიტია, მაგრამ ის, რომ თბილისის მერის კანდიდატურა ბიძინა ივანიშვილმა წამოაყენა, არა მგონია, განმსაზღვრელი იყოს. პრეზიდენტობის შემთხვევაში, სულ სხვა კრიტერიუმები იყო, თბილისის მერისთვის კი სულაც არ არის აუცილებელი, რომ ის ბიძინა ივანიშვილის დასახელებული გახლდეთ. რაც შეეხება ლევან გაჩეჩილაძეს ან კახა კუკავას, ვერ ვიტყვი, რომ მათ არ ვისურვებდი მერად. ლევან გაჩეჩილაძე ბიზნესმენი და პოლიტიკოსი იყო. კახა კუკავა ბიზნესმენი არ ყოფილა, მაგრამ პოლიტიკური გამოცდილება და მართვის უნარი მასაც აქვს“, – მიიჩნევს ვახტანგ ძაბირაძე.

მსახიობისა და პოეტის **გივი სიხარულიძის** აზრით, დავით ნარმანია ჭკვიანი, აზრიანი, დამჯდარი გონების ადამიანია, იგი არის კარგი მეურნე და გამოადგება ჩვენს ქალაქს. თუმცა, პირადად მას გაუხარდებოდა, თუ თბილისის მერი, ყველა ამ სიკეთესთან ერთად, თბილისელი იქნებოდა.

„ეს არ ნიშნავს, რომ ნარმანიაზე უარს ვიძახი. ჭიაბერაშვილი რომ იყო თბილისის მერი, ეს იყო სილის გარტყმა ჩემი ქალაქისთვის. ეს იყო ბებერი ჭია, რა თქმა უნდა, ასეთი კანდიდატურა მიუღებელია, მაგრამ ნებისმიერი ზომიერი, ნორმალური, შესახედავად კარგი თბილისის მერი ჩემთვის მისაღები იქნება“, – აღნიშნა გივი სიხარულიძემ ჩვენთან საუბარში.

ჩვენ, ასევე, დავუკავშირდით ისტორიკოს გიორგი ოთხმეზურს, მან არ დამალა, რომ უშუალოდ დავით ნარმანიას საწინააღმდეგო არაფერი აქვს, რადგან, სავარაუდოდ, ის კარგად ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ უმჯობესია, დარჩეს იქ, სადაც ამჟამად მოღვაწეობს.

„ჩემი აზრით, უმჯობესია, თბილისის მერი იყოს თბილისელი. ის უნდა იყოს წარმოსადეგი, ინტელიგენტი პიროვნება, რომელიც ღირსეულად იზრუნებს ქალაქზე... სიმართლე გითხრათ, არ მიფიქრია იმაზე, ვინ უნდა იყოს თბილისის მერი, მაგრამ ასე სპონტანურად გამახსენდა გიგა ბათიაშვილის კანდიდატურა. ვფიქრობ, ის თბილისის კარგი მერი იქნებოდა, თანაც, სპეციალობით არქიტექტორი და დახვეწილი ინტელიგენტია“, – განმარტა გიორგი ოთხმეზურმა.

მხატვარი **ნიკუშა შენგელაია** აცხადებს, რომ, გვინდა თუ არა, თბილისის მერობა პოლიტიკური თანამდებობაა. ამიტომ ის, უპირველესად, თბილისელებთან უნდა იყოს პასუხისმგებელი.

„არ ვფიქრობ, რომ დედაქალაქის მერი მაინცდამაინც თბილისში დაბადებული უნდა იყოს. საქმის გამკეთებელი ადამიანი თუ არის და სარგებლის მოტანა შეუძლია ჩვენი დედაქალაქისთვის, რა მნიშვნელობა აქვს მისი დაბადების ადგილს?! არ შეიძლება, კუთხურობით ვინმე დავიწუნოთ. თანაც, თბილისი ძალიან გაიზარდა, ეს არ არის ძველებური თბილისი. თბილისელობა ნიშნავს შენი დედაქალაქის სიყვარულს, დედაქალაქი კი უნდა უყვარდეს ნებისმიერ ქართველს, სადაც არ უნდა იყოს იგი დაბადებული“, – გვითხრა ნიკუშა შენგელაიამ.

რაც შეეხება საქართველოს რაიონებს, მისი აზრით, იქ ადგილობრივ მერებად იქაურები უნდა დაინიშნონ, რადგან მათ უკეთ იციან თავიანთი რაიონის პრობლემები.

მართალია, ნიკუშა შენგელაიას არ უფიქრია, ვინ შეიძლება იყოს დედაქალაქის მერობის შესაფერისი კანდიდატი, თუმცა, ზოგადად, აცხადებს, რომ იგი ენდო „ქართულ ოცნებას“. ამიტომ მათ კანდიდატურებს მიესალმება ყველგან – პრეზიდენტის ამპლუაში, პარლამენტში თუ თვითმმართველობებში. ეს კი იმის საწინდარია, რომ მათ მეტი პასუხისმგებლობა მოვთხოვოთ.

მარიამ ლოლაშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

როდის დაბრუნდება ემზარ კვიციანი სამშობლოში?

ნორა კვიციანი ხელისუფლებას ემზარ კვიციანის საქართველოში დაბრუნებაში დახმარებას სთხოვს. როგორც ნორა კვიციანმა გუშინ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მისი ძმის საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

– ვთხოვთ ახალ ხელისუფლებას, დროზე დააბრუნოს ჩემი ძმა საქართველოში, რატომ იდევნება იგი დღემდე ქვეყნიდან მოღალატისა და კრიმინალის სტატუსით, გაუგებარია. ვითხოვ, ჩამოიყვანონ ჩემი ძმა და ის ყველა კითხვას პასუხს გასცემს“, – განაცხადა ნორა კვიციანმა.

მისივე თქმით, თუ ხელისუფლება ემზარ კვიციანთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას დროულად არ მიიღებს, მაშინ, შესაძლოა, აქციები დაიწყოს.

ამასთან, თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით თევზაძის განცხადებით, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ამ სახელმწიფოს მოქალაქეა, სამართლებრივ მიდგომას საჭიროებს.

– ის, რომ ადამიანი ამდენი ხანი დევნილობაში იმყოფება, მიუღებელია. მაშინ რთული პერიოდი იყო, კოდორის ხეობას შენარჩუნება სჭირდებოდა, ემზარი მზადაა, ყველა დადებით და უარყოფით შეკითხვას პასუხი გასცეს“, – აღნიშნა თევზაძემ.

ემზარ კვიციანის საქართველოში დაბრუნების მოთხოვნით საპროტესტო აქციაც გაიმართა.

აქციის მონაწილეების თქმით, ეს არის ხელისუფლებისთვის გამაფრთხილებელი აქცია, რომ ემზარ კვიციანის საქმეზე მუშაობა დაიწყონ.

ინტერპრესი

ეს არის დასავლეთის არა რეკომენდაცია, არამედ უპირობო დიქტატი...

თეა წულუკიანის ნათქვამმა, რომ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა ნაადრევია, სამართლიანობის მომლოდინე, ღირსებაშელახულ ადამიანებში გაუგებრობა გამოიწვია.

ის რომ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა, თავის დროზე, რეკომენდაცია გასცა – მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია არ უნდა შეიქმნას, რადგან არ შეიძლება, პარალელური სასამართლო არსებობდესო – არავის ეგონა, რომ შესრულდებოდა. თუმცა, საბოლოოდ, კუბლაშვილის სურვილი აღსრულდა. არადა, იმ პერიოდში იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ირწმუნებოდა, რომ ვენეციის კომისიამ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ დადებითი რეკომენდაცია წარადგინა.

რაც შეეხება თეა წულუკიანის ახლანდელ არგუმენტს, რომ ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა მზად არ არის დაზარალებულთა მატერიალური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, უფლებაშელახულ ადამიანებს დამაჯერებლად არ ეჩვენებათ. ისინი საპროტესტო აქციისთვის ემზადებიან და ელიან, რომ ამ ხელისუფლების ასეთ უპრინციპობას სავალალო ფინალი მოჰყვება.

უკვე ცნობილია, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით 15 დეკემბერს თბილისში, ყოფილი პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო აქცია გაიმართება. როგორც მოძრაობა „სამართლიანობა უნდა აღსდგეს“ სახელით ნანა კაკაბაძის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ხელისუფლებამ უარი თქვა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი იმ კომისიის შექმნაზე, რომლის ჩამოყალიბებასაც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამაოდ ელოდა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა. ეს კი „უდანაშაულო დამნაშავეებისათვის“ მიცემული დაპირების შეუსრულებლობაა, რომელთა მხარდაჭერამაც ბევრწილად განაპირობა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლა.

„ასეთი ციინიკური გადაწყვეტილებით ხელისუფლებამ შეურაცხყო ქართული საზოგადოება, რომლისთვისაც მთავარი ღირებულება ღირსების აღდგენა და არა ფულადი კომპენსაციების მიღებაა. შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, ხელისუფლებას თავისუფლად შეეძლო, ერთმანეთისაგან გაემიჯნა სისხლის სამართლებრივი და სამოქალაქო წესით კომპენსაციის მიღების საკითხები და ამ უკანასკნელის აღსრულება გადაევადებინა რამდენიმე (თუნდაც 10) წლით. თუმცა, ხელისუფლებამ უფრო მარტივი გზა აირჩია და უსამართლო სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ მოქალაქეებს მოუწოდა, „გაგებით მოეკიდონ“ შექმნილ მდგომარეობას და კვლავაც უდრტვინველად ატარონ დამნაშავეების სახელი, – ნათქვამია განცხადებაში.

რამ გამოიწვია მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენ კომისიაზე უარის თქმა, რომლის შექმნაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ პომპეზურად დააანონსა? ხომ არ შეასრულებს ამ კომისიის ფუნქციას პროკურატურა და რა რეაქცია ექნება საზოგადოებას ამ კომისიაზე უარის თქმის შემდეგ? ამის შესახებ უფლებადამცველები და პოლიტიკოსები გვესაუბრებიან.

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე For.ge-სთან საუბარში არ მალავს, რომ თეა წულუკიანის განცხადებამ იგი დააბნია და საგონებელში ჩააგდო – **ხელისუფლება რევოლუციის პროვოცირებას ახდენდა, თუ ეს გაუთვლელი ნაბიჯი იყო.**

ნანა კაკაბაძე აცხადებს, რომ მას ბევრი ხელისუფლება უნახავს, რომელმაც თავისი დანაპირები უკან წაიღო და არ შეასრულა, მაგრამ ამ დანაპირების უკან წაღება პირადად ამ ხელისუფლების ყოფნა-არყოფნაზე აისახება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ 1 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა ხმა მისცა არა მიწების გადახვნას და ვაუჩერების დარიგებას, არამედ სამართლიანობის აღდგენას. სინამდვილეში, მართლმსაჯულების ხარვეზების აღდგენაზე მარტო ამ ეტაპზე კი არ გვეუბნებიან უარს, არამედ საერთოდ, უარყოფენ ამ კომისიის შექმნას, რადგან ამას მოჰყვება დამნაშავეთა დასჯა.

– ყოველი უკანონო განაჩენის უკან დგანან კონკრეტული დამნაშავეები - პროკურორების, მოსამართლეების, გამომძიებლების, ხელისუფლების წარმომადგენლების სახით და ეს ყველაფერი ნათელს მოჰფენდა ცხრაწლიან პერიოდს. ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დადგებოდა არა მარტო საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების, ნაციონალების და მისი ლიდერის (რომელიც ქვეყანაში წამების, ქონების წართმევის, ხალხის გაუპატიურების, ქუჩაში ადამიანების ჩახოცვის გარანტად იქცა), არამედ გაირკვეოდა, რომ ამ პროვინციულ ფაშიზმს მხარს უჭერდა დასავლეთი და მას დემოკრატიის შუქურას ეძახდა. ამიტომ მსოფლიოს წინაშე ცუდი სახით მოუწევდა დასავლეთს წარდგენა. ეს არის მიზეზი, რის გამოც დასავლეთი ლობირებს, რათა არ მოხდეს „ნაციონალური მოძრაობის“ რეალური სახის წარმოჩენა და დამნაშავეების გასამართლება. თანაც, ეს არის დასავლეთის არა რეკომენდაცია, არამედ უპირობო დიქტატი და მოთხოვნა“, – აღნიშნა ნანა კაკაბაძემ.

აქვე გაიხსენა, რომ, როცა საბჭოთა პერიოდში დამოუკიდებელი საქართველოსთვის იბრძოდა, ვერ წარმოიდგენდა, რომ საბჭოთა კავშირის შემდეგ საქართველოში ისევ მონობა და მონური ხელისუფლება იქნებოდა. **„დღეს კი, ვინც ამ დაკვეთას ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ ასრულებს, არიან მონები. სწორედ ასეთი ხელისუფლებები ანგრევენ სახელმწიფოებრიობას და ქვეყნის მორალს, ზნეობას, ღირსებას. ასეთი ხელისუფლება ბადებს უიმედობის განცდას საზოგადოებაში და სასოწარკვეთილი საზოგადოება ვერ განვითარდება“.**

ჩვენს შეკითხვაზე, შეძლებს თუ არა პროკურატურა ხარვეზების დამდგენი კომისიის ფუნქციის შესრულებას, ნანა კაკაბაძე აცხადებს, რომ ეს შეუძლებელია. პროკურატურისთვის ისედაც მიმართული აქვთ ამ ადამიანებს და კანონი ამ საქმეების გადახედვის საშუალებას პროკურატურას არ აძლევს. ერთადერთი, პარლამენტი რჩებოდა, რომელსაც დამატებითი რეგულაციის შემოღება ხელეწიფებოდა ამ კომისიის სახით, რადგან ამოწურული იყო გასაჩივრების ყველა შესაძლებლობა.

„როცა ხელისუფლებას ამის გამართლება უნდა ბიუჯეტში თანხის არარსებობით, ეს სამარცხვინოა. თქვენ არ იცით, ამ განცხადების შემდეგ რა ხდებოდა ჩვენს ოფისში, ციხეებიდან როგორი ზარები ხორციელდებოდა. ხალხი იძახდა, ხელწერილს დავუწერთ ხელისუფლებას, რომ არ გვინდა კომპენსაციები, ოღონდ გადახედონ ჩვენს საქმეებს და თქვან, რა ხდებოდა სინამდვილეში. კი ბატონო, ისეთი საქმეები გადაიხედოს, სადაც ეს ხალხი კომპენსაციას არ მოითხოვს, სამაგიეროდ, მოითხოვს ღირსების აღდგენას. ხელისუფლება ვალდებულია, უკანონოდ დასჯილებს კომპენსაცია მისცეს, მაგრამ ასი ათასობით ადამიანი მათ დაუწერს, რომ არ უნდათ მათი კომპენსაცია, უბრალოდ, აღუდგინონ ღირსება“, – გვითხრა ნანა კაკაბაძემ.

უფლებადამცველი **ლია მუხაშავრია** გაკვირვებულია, რომ ხელისუფლებამ სულ რაღაც ერთ წელიწადში დაივიწყა საზოგადოებისთვის მიცემული დაპირება სამართლიანობის აღდგენის შესახებ. ეს მაშინ, როცა ხალხის უდიდესი მხარდაჭერა დიდწილად განპირობებული იყო სწორედ სამართლიანობის აღდგენის სურვილით.

– ეს ყველაფერი საეჭვოდ მეჩვენება. ამ ხელისუფლებაში ვინმემ დათვალა, რამდენია ის თანხა, რომელიც შეიძლება თურმე ბიუჯეტისთვის კატასტროფული აღმოჩნდეს?! ვის-ვის, და თეა წულუკიანს დღევანდელ მთავრობაში ყველაზე უკეთ მოეხსენება სამართლიანობის, ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენის და მართლმსაჯულების ფასი. ეს ფასდაუდებელი სიკეთეა და, თუკი ხელისუფლება, უკაცრავად, და ამ „ძღინკიანი“ მოტივით, ამ სიკეთეზე უარს ეუბნება თავის საზოგადოებას, წამებაგამოვლილ მსხვერპლებს და უქონელად დარჩენილ გუშინდელ წარმატებულ ადამიანებს, ეს ამ ხელისუფლების დასასრულის დასაწყისია“, – აღნიშნა ლია მუხაშავრიამ For.ge-სთან საუბარში.

მისი თქმით, უახლოეს წარსულში განხორციელებული ბოროტება უნდა აღმოიფხვრას არა მხოლოდ ხარვეზების დადგენის ფორმით, არამედ ამ საკითხებში პირდაპირი და უშუალო გამოძიების სრულმასშტაბიანი ჩართვით და სასამართლო სისტემის სრული ამოქმედებით. ამიტომ, იგი ჯერ კიდევ იმედოვნებს, რომ ახალი მთავარი პროკურორი ამ ტვირთს აიღებს, ისტორიულ მისიას შეასრულებს და გამოიძიებს ყველა ამ უბედურებაში დამნაშავე თუ მონაწილე პირთა ბრალეულობას.

– არ ვიტყვი, რომ დამნაშავეები ციხეში ძალიან დიდი ხნით უნდა ჩავსვათ და იქიდან არ გამოვუშვათ. უბრალოდ, დადგინდეს, ვისი მიზეზით, უპასუხისმგებლობით თუ დანაშაულით გამოვიარეთ ეს უბედურებები. დაბალი და საშუალო რგოლის მოხელეებმა უნდა ითხოვონ პატიება და ჩვენ მათ ვაპატიებთ, რათა ისევ არ გავხდეთ ჩემპიონები ციხის პატიმრების რაოდენობის მხრივ. ამ ადამიანების პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს მათ მიერ დაზარალებულთათვის მიყენებული ზიანის სამართლიანი და პროპორციული ანაზღაურებით. მე და თქვენ არ ვართ თანახმა, ბიუჯეტში ჩვენს მიერ შეტანილი გადასახადებიდან მოხდეს მათი დანაშაულის გზით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მსხვერპლთათვის, – აცხადებს ლია მუხაშავრია.

ამასთან, უფლებადამცველი არწმუნებს ახალ ხელისუფლებას, თუ ეს სქემა ამუშავდება და დამნაშავეთა პირადი თუ კერძო ქონებიდან მოხდება ზიანის ანაზღაურება, მაშინ არც საქართველოს ბიუჯეტს დაემუქრება საშიშროება და არც მთავრობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მძიმე პროცესი იქნება, რადგან სამართლიანობა უნდა აღდგეს.

უმრავლესობის წევრ ზვიად ძიძიგურის თქმით, იგი თავის დროზეც მიიჩნევდა და დღესაც ასე ფიქრობს, რომ მართლმსაჯულების აღდგენის საკითხებს უნდა წყვეტდეს სასამართლო და, არავითარ შემთხვევაში – რაიმე სახის სხვა კომისია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ხელისუფლების მხრიდან მართლმსაჯულების ხარვეზების დადგენა სასამართლოს სფეროში ჩარევა იქნება.

– ჩვენი მთავარი ამოცანაა, სასამართლო გავხადოთ ჯანსაღი, ყველა უსამართლობა სასამართლომ გაასწოროს და სასამართლომ გადაწყვიტოს, სად დაირღვა კანონი, რომელი მოსარჩელეა მართალი და რომელი – არა. პროკურატურის საქმე არის ბრალის წაყენება, ხოლო სასამართლოს ფუნქციაა ამ ბრალის ან დადასტურება, ან უარყოფა. ამიტომ, ორივემ თავ-თავისი საქმე უნდა აკეთოს. რას შეძლებს პროკურატურა და რამდენად მყარ მტკიცებულებებს მოიპოვებს, ეს გაირკვევა. დავაკვირდეთ განახლებული პროკურატურის საქმიანობას“, – აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა.

მანანა ნოზაძე

◎ ალიან-ჩალიანი

ორ თვეში ლაფანყურის საიდუმლოს ფარდა აეხდება

საძართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ვარაუდობს, რომ ლაფანყურის მოვლენების შემსწავლელი 12-კაციანი საზოგადოებრივი საბჭო მუშაობას დაახლოებით ორ თვეში დაასრულებს. როგორც უჩა ნანუაშვილმა გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, შესაბამისი ინფორმაცია, რომელსაც საზოგადოებრივი საბჭო მოიპოვებს, საგამოძიებო უწყებებს გადაეცემათ.

„საბჭო ძალიან აქტიურად მუშაობს. საბჭოს წევრებს აქვთ შეხვედრები თითქმის ყველა იმ პიროვნებასთან, ვისაც რაიმე შეხება ჰქონდა ლაფანყურის მოვლენებთან. ჩვენ, გარდა ამისა, მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ მოვიპოვოთ ყველა ინფორმაცია, მათ შორის საჯარო, რომელიც იყო გამოქვეყნებული სხვადასხვა საშუალებით. ვხვდებით პირველწყაროებს, მოწმეებს და ხდება ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა და დაოქმება. ორი თვის ვადაში ჩვენ გვექნება სრული სურათი და შეგვეძლება ამ ანგარიშის წარდგენა საგამოძიებო ორგანოებისთვის“, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

მისივე თქმით, ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაცია და ბევრი ახალი დეტალი გამოიკვეთა, რომელზეც ამ დროისთვის ვერ ისაუბრებს.

ინტერპრესი

ტკბობა არ ემთხვევა ბედნიერებას

პარაფირებული საქართველო

მე ქართველი ვარ, მაშასადამე – ევროპელი, თანაც კოჰაბიტირებული, პარაფირებული.

მაინც რამდენი ახალი სიტყვა ვისწავლეთ დამოუკიდებლობის წლებში. უსმენ ჩვენს „პოლიტიკოსებს“ და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს – თითქოს ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ არ გესმის. კეკლუცობენ უცხო სიტყვებით, უფრო სწორად, ჟონგლიორობენ, რომ მსმენელმა ვერაფერი გაიგოს, თუმცა, გასაგებიც არაფერია, თვითონაც არ იციან, რას ლაპარაკობენ.

ლაპარაკობენ იმიტომ, რომ უნდა ილაპარაკონ, რაც უფრო დიდხანს, მით უკეთესი, ეკრანზე დიდხანს იქნებიან, ბრძნული გამომეტყველებით. ის, რომ ხალხის დიდ ნაწილს არ ესმის რაზე ლაპარაკობენ, მათ არ აწუხებთ – ისწავლიანო – ფიქრობენ. ძველ ანეკდოტს ჰგავს ყოველივე ეს: ერთი მეორეს ეკითხება, ასოციაცია რას ნიშნავსო. „ბრძენი“ მეორე პასუხობს – „ასო“ ვიცი რა არის, მაგრამ „ციაცია“, ალბათ, კვერცხები იქნებაო.

ასე მარტივად რომ იყოს ჩვენი საქმე, რა გვიჭირს. „პარაფირების“ მნიშვნელობა კი აგვიხსნეს ჩვენმა „ბრძენმა“ ახალგაზრდა „ბელადებმა“, მაგრამ ის აღარ გვითხრეს, რა დატვირთვას ატარებს ის. ვერც ის გვითხრეს, რას წარმოადგენს „ის“, რასაც „პარაფირება“ გაუკეთეს. ერთი სიტყვით, პარაფირება კი გაუკეთეს, ანუ ხელი მოაწერეს ყველა გვერდს, დასტურად იმისა, რომ ტექსტს გაეცნენ. მაგრამ გაეცნენ თუ არა, არავინ უწყის.

გავეცანითო, ამბობენ – გინდ დაიჯერეთ, გინდ არა. ასეთია ნაქები დასავლეთის ნაქები დემოკრატია. რუსული გამოთქმისა არ იყოს - შემოგვაჩეჩეს „კატა ტომარაში“. არადა, კაცმა რომ თქვას, ინგლისურ ენაზე, თანაც სპეციფიკური, იურიდიული ტექსტის გაცნობა, ათასგვერდიანის, სახუმარო საქმეა?

ხელისუფლებამ იყიდა „კატა ტომარაში“, რა ენაღვლება. მისგან რა მიდის. ხალხმა იკითხოს, ვის ზურგზეც გადაივლის „პარაფირებული“ ტექსტის სიმძიმე.

ხელისუფალთა უპასუხისმგებლობა, საერთაშორისო იურიდიულ ტექსტებთან მიმართებაში, საზოგადოებამ არაერთხელ იწვნია. ერთ-ერთი ერთგვერდიანი სარკოზი-მედვედევის შეთანხმების ტექსტი იყო, რომელიც ვერა და ვერ ამოხსნა ჩვენმა „მამა-მარჩენალმა“ და მსუყე ხაზი გადაუსვა პუნქტს, რომელმაც დააქცია საქართველო, დაანგრია მისი ტერიტორიული მთლიანობა. მას, აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის სტატუსის გარკვევისთვის მოლაპარაკების დაწყება ტრაგედიად მოეჩვენა და ამოშალა.

არადა, რომ არ ამოეშალა, ისინი დღესაც საქართველოს შემადგენლობაში იქნებოდნენ, იურიდიულად და არა ფაქტობრივად, მაგრამ მაინც. და თუ სტატუსის განხილვა განსწავლული კადრებით მოხდებოდა, შესაძლოა – ფაქტობრივადაც.

და ეს ყველაფერი ერთი გვერდის „სიღრმისეული“ გაცნობის შემთხვევაში. აქ კი, 1000-გვერდიან ინგლისურ ტექსტთან გვაქვს საქმე. მავანი შემედავება – **ჩვენმა ყმაწვილმა გოგობიჭებმა მთავრობიდან ხომ კარგად იციან ინგლისური ენაო.** იციან, სატლიკინო, მაგრამ არა ტერმინოლოგიური. ამ უკანასკნელს ჩაჯდომა, სწავლა სჭირდება, მაგრამ როდის? როდისღა მოასწრებ, როდესაც თინეიჯერულ ასაკში მინისტრის თუ არა მოადგილის, დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა გიხმობს?

და კიდევ ერთი რამ, „უმნიშვნელო“, მაგრამ მნიშვნელოვანი. **ევროკავშირის წესის მიხედვით, ფართო საზოგადოებამ, ანუ ხალხმა ტექსტის შესახებ პარაფირების შემდეგ უნდა გაიგოს.** ამაშიც იყო რაღაც „შეღავათის“ გაწევის მსგავსი – ამას, ქართველები რომ ხართ, იმიტომ გიკეთებთ, თორემ სხვები რომ იყოთ, ნურას უკაცრავადო. რამდენად შეესაბამება ქართული მედიის მიერ მოწოდებული ეს დაყვედრება სინამდვილეს – ღმერთმა იცის.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, რა იქნებოდა, ხელმოწერამდე ხალხი რომ გაცნობოდა ტექსტს? არც არაფერი, ვინაიდან ინგლისურის არაშესაბამის დონეზე ცოდნა შესაძლებლობას არ მოგვცემდა ჩავწვდომოდით თითო სიტყვის არსს, რაც აუცილებელია მსგავსი დოკუმენტის საფუძვლიანი გაგებისთვის. ვინც გაიგებდა, იჟივჟივებდა და ბოლოს მაინც ამ ჟივჟივში ხელისუფლება გაიმარჯვებდა – თქვენ კარგად ვერ კითხულობთ ტექსტსო, იტყოდა.

გახსოვთ, ალბათ, ტალიავინის ტექსტით გამოწვეული ჟივჟივი ქართულ ტელევიზიებში. ისიც გემახსოვრებათ, მაშინდელი მინისტრი იაკობაშვილი რა დაბეჯითებით და თავხედურად აწვებოდა ოპონენტებს, შესაბამისად, ხალხს – თქვენ რომ კითხულობთ – პირველად საქართველომ გაისროლა – ასე არ არისო. ტალიავინი ამას არ გულისხმობსო.

რაღა მოლოტოვ-რიბენტროპის საიდუმლო პაქტი და რაღა ევროკავშირის მიერ შეთხზულ დოკუმენტზე ხელის მოწერა. რამდენი ათეული წელი გალია კაცობრიობამ, მათ შორის, ევროპამ იმ პაქტიდან დღემდე, მაგრამ გრიფი „საიდუმლო“ ვერ გადალახა. არადა, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი რომ დროებითი და არა სამარადისო იყო, ორივე ხელმომწერმა იცოდა, რასაც წერს თავის მოგონებებში უინსტონ ჩერჩილი.

ევროკავშირის დოკუმენტი ხომ დროებითი არ არის? როგორც ბრიუსელი და თბილისი აცხადებს – სამარადისოა. და როდესაც სამარადისოა, ვისთვისაც ეს კეთდება, ანუ ქვეყნისა და ხალხისთვის ცნობილი უნდა იყოს – წინასწარ!

უკრაინა, რომელმაც პარაფირება კარგა ხნის წინათ მოახდინა, მიხვდა, რომ საქმე არც ისეა, როგორც ბრიუსელი ქადაგებს. „უკრაინისთვის შეურაცხმყოფელია 600 მილიონი ევროს დახმარების შემოთავაზება“, – თქვა ვილნიუსის სამიტის მონაწილე უკრაინის პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა.

საქართველო იმიტომ არის მოხიბლული ევროკავშირით, რომ დემოკრატიულად მიიჩნევს მას. განვლილმა დღეებმა დაგვანახა, რომ არც ისეა საქმე, როგორც გვეგონა. **ჯერ ერთი დემოკრატიულმა კავშირმა წინასწარ, სახალხოდ უნდა წარმოადგინოს ასოცირებული წევრობის ხელშეკრულების ტექსტი, სადაც მარტო ის კი არ უნდა იყოს აღნიშნული, შესვლის მსურველმა ქვეყანამ რა უნდა გააკეთოს, არამედ ისიც, ევროკავშირი რას გააკეთებს მასთან მიმართებაში.**

უკრაინისთვის მიუღებელია ტექსტის მბრძანებლური კილო, – ბრძანა იანუკოვიჩმა. ის მართალია. ნებისმიერი თავმოყვარე ქვეყანა არ უნდა იტანდეს სხვისი მხრიდან თითის ქნევას და მენტორულ ტონს. ჩვენ ეს უკვე გავიარეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ის მონაგონია ევროკავშირთან შედარებით. და რომ მონაგონია, კარგად ჩანს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების განწყობიდან. სწორედ ვილნიუსის სამიტის დღეებში, ევროკავშირის წევრმა დიდმა ბრიტანეთმა, პარლამენტის სხდომაზე, მიიღო გადაწყვეტილება 2017 წელს რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით. თემა – ევროკავშირში ყოფნა-არყოფნა.

რა ხანია ბრიტანეთის პარტიები დაბეჯითებით მოითხოვენ ევროკავშირიდან გამოსვლას, ვინაიდან მათი აზრით, ქვეყანა, იქ ყოფნით კარგავს სუვერენიტეტს, თვითმყოფადობას. რატომ უნდა გადაწყვიტოს ბრიუსელელმა მოხელემ ჩვენი საშინაო საკითხებიო? რატომ უნდა აფათურებდნენ ხელს ისინი ჩვენს საქმეებშიო? – ამბობენ პარტიები.

დიდ ბრიტანელ პოლიტიკოსებს არც ფრანგი მემარჯვენეები ჩამორჩებიან. მარინ ლე პენი რა ხანია კატეგორიულად ითხოვს საფრანგეთის ევროკავშირიდან გამოსვლას. ეს პოლიტიკოსი მალე ევროპარლამენტის წევრიც გახდება და დარწმუნებული ვარ, მსგავსი იდეების მატარებელ სხვა ქვეყნების პარლამენტარებთან ერთად, ასეთები ბევრია, ისეთ საქმიანობას გააჩაღებს, თანაც ევროკავშირის შიგნით, ამ ორგანიზაციას კარგი ნამდვილად არ დაადგება.

უკმაყოფილებას იწვევს ბევრი რამ – სუვერენიტეტის დაკარგვიდან დაწყებული, თითოოროლა ქვეყნის დიქტატი, ორგანიზაციის მოუქნელი მუშაობით, ეკონომიკურ-საფინანსო კრიზისით, უმუშევრობით, მრავალი სხვა ნეგატიური ასპექტით დამთავრებული. დემოკრატიულ კავშირში, რომ გერმანიის პირველობა სახეზეა, ფაქტია. ამიტომაცაა, მის მიმართ „თბილი“ დამოკიდებულება კრიზისით მოცულ ესპანეთში, პორტუგალიაში, საბერძნეთში, იტალიაში, სხვაგან.

„დემოკრატიულ“ ევროკავშირში ზემოჩამოთვლილი ქვეყნები მეორეხარისხოვნად ითვლებიან, რომ აღარაფერი ვთქვათ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე – ბულგარეთზე, პოლონეთზე, რუმინეთზე, ბალტიისპირა ქვეყნებზე, სხვებზე.

კარგად ვიცი (პირადი საუბრებიდან) აღნიშნული ქვეყნების მოქალაქეთა განწყობა ევროკავშირის მიმართ. ბევრი მათგანი წარსულ ცხოვრებას მისტირის, საწარმოებსა და ქარხნებს, რომლებიც დაიხურა. სატელევიზიო ინტერვიუს დროს პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ, პოლონეთის რევოლუციის გმირმა, განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების გაწყვეტამ პოლონეთის მრეწველობის 70% გააჩერა.

სწორედ ამის გამო დაამუხრუჭა უკრაინამ. მისი ეკონომიკა ისეა ინტეგრირებული რუსეთთან, კომპენსაცია ევროკავშირის მხრიდან შეუძლებელია. უხეში, წინასწარი მონაცემებით უკრაინას 170 მილიარდი ევრო დასჭირდება რუსეთთან კავშირის გაწყვეტის შემდგომი კრიზისის დასაძლევად. ევროკავშირს მსგავსი დახმარების გაწევა არ შეუძლია. დიდი-დიდი მილიარდ ნახევარი ევრო მისცეს, ისიც 7 წლის განმავლობაში.

ევროკავშირი, რომელიც ეკონომიკური კავშირისგან კარგა ხანია, პოლიტიკურ კავშირადაა ქცეული, ნაკლებად ღელავს პრობლემებზე, რომლებიც უდავოდ, შეექმნება უკრაინას. იქნებ აღელვებს და იმიტომაც აწვება უკრაინას ესოდენ „დემოკრატიულად“.

რა გამოდის? **რუსეთიდან ჩამოშორებულ და ევროკავშირში ასოცირებულ წევრად შესული უკრაინა კარგავს ქარხნებს, საწარმოებს და აქედან გამომდინარე, მუშახელის დასაქმებას. იზრდება უმუშევრობა, სოციალური უკმაყოფილება. ხალხი ქუჩაში გამოდის და ამხობს იანუკოვიჩის ხელისუფლებას. ციხიდან გამოდის „ნარინჯისფერი“ რევოლუციის გმირი ტიმოშენკო, რომელიც ციხეში უშვებს იანუკოვიჩს.**

სცენარი ისეთია, ბრიუსელს რომ წაადგება. მას არ მოსწონს იანუკოვიჩი. მოსწონს ტიმოშენკო, ამიტომაც დასვა საკითხი ასეთ ჭრილში – უკრაინა გახდება ასოცირებული წევრი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტიმოშენკო გამოვა ციხიდან და ჩაერთვება პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ბრალდება, რომელიც ტიმოშენკოს აქვს წაყენებული, ყველა ნორმალურ ქვეყანას უნდა აფიქრებდეს, მით უმეტეს ქვეყნების კავშირს, თანაც დემოკრატიულად აღქმულს. მაგრამ არა – ამ შემთხვევაში „ჩვენი ძაღლიშვილობაა“ მთავარი და არა კორუფციონერობა, კრიმინალობა. „დემოკრატიული“ ევროკავშირი, რომელმაც უკრაინის ხელების გრეხვით, ვერაფერს მიაღწია, ბოლოს დაყვავებაზე გადავიდა - ოღონდ ხელი მოაწერეთ და იულიას დედაცო.

ასეთია ევროკავშირული დემოკრატია. ჩვენ არ ვერევით უკრაინის საშინაო საქმეებშიო - აცხადებდნენ ევროკავშირელი პოლიტიკოსები. არც ზეწოლას ვახორციელებთო. კეთილი, მაგრამ რა შეიძლება დაერქვას ევროკავშირელი ემისრების კვასნევსკისა და კოქსის 27 ვიზიტს კიევში ან ფულეს პერმანენტულ წინ და უკან მოგზაურობას ან ლიტვის პარლამენტის თავმჯდომარის „მგზნებარე“ სიტყვას - კიევის მომიტინგეებთან ან მოწოდებებს მიტინგისკენ, სისტემატურად რომ ხდებოდა, ან მომიტინგეთა დაფინანსებას?

მასპინძელი რომ ძალით მიგათრევს სახლში, მასპინძლობა აღარ ქვია. ეს უფრო გაუპატიურების მცდელობაა.

ამ ისტორიაში მთლად მართალი არც უკრაინაა. ნაცვლად ბრიუსელ-მოსკოვთან ვაჭრობისა, დროულად უნდა აეწონ-დაეწონა შესვლა-არშესვლის საკითხი და თავიდანვე განეცხადებინა ის, რაც ვილნუსის სამიტის წინ თქვა. არც მომიტინგეები გაჩნდებოდნენ და არც ახალგაზრდობა იყვირებდა - „უკრაინა ევროპაა“.

მომიტინგეები აცხადებენ, რომ მათაც ისე სურთ ცხოვრება, როგორც ევროპელებს. არადა, იქაური ცხოვრება რომ ისეთი მომხიბლავი ვეღარაა, როგორც წინათ, გაგონება არ სურთ.

ევროპული ფასადი იზიდავს ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რაც არ არის გასაკვირი. დასუფთავებული ქუჩები, გამართული საქალაქო ტრანსპორტი – ზუსტ გრაფიკში ჩამჯდარი, ყურადღებიანი, კვალიფიციური მოპყრობა საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, სუფთად ჩაცმული, თავაზიანი ტაქსის მძღოლები და ა.შ. მაგრამ ყოველივე ამისთვის საჭიროა ისეთ კავშირში შესვლა, საკუთარი „მეს“ დაკარგვით ინგლისსაც რომ ემუქრება?

მცდარია იმაზე ფიქრი, რომ ევროკავშირში შესვლით, ჩვენთან ევროკავშირელი ჩამოვა და ქუჩებს დაგვიგვის, კანონს გაგვიკეთებს, ჩვენს მაგივრად იმუშავებს და ა.შ. ჩვენ კი ევროპის ქვეყნებში უვიზოდ ვინებივრებთ, ვიმარიაჟებთ, მოკლედ გავაკეთებთ იმას, რაც მოგვეპრიანება. ასე იფიქრეს ახალგაზრდა ძიუდოისტებმა იაპონიაში და სამარცხვინოდ გამოაძევეს.

ჩვენ, ჩვენი ქცევით, შრომისმოყვარეობით, წესრიგით, კანონისადმი პატივისცემით აშკარად შორს ვართ ევროკავშირისგან. ევროპელი ამას ვერ გვასწავლის, ვინაიდან ეს ისეთი თვისებებია, რომელიც სახლში და სკოლაში აღზრდიდან იწყება და მთელი ცხოვრება გრძელდება – სიკვდილამდე.

ამას წინათ, სუპერმარკეტ „გუდვილში“ ყურადღება მიიპყრო ორი ქართველი ქუჩის ოპოზიციონერის ხმამაღალმა ლაპარაკმა, რომელიც გამიზნული იყო მხოლოდ ყურადღების მისაპყრობად. შესაბამისი პროდუქტის აღების შემდეგ ორივენი დიპლომატთა სალაროს მიადგნენ, თუმცა, დანარჩენ სალაროებთან ხალვათობა იყო. იკადრებს ამას ევროპელი?

ხალხმა არ იცის სად შევდივართ და შევდივართ, მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკურ ელიტას ასე სურს საკუთარი ბედნიერებისთვის. ჩვენი საქონელი გაიყიდებაო ევროპაში, – ამბობს ის, მაგრამ არ აკონკრეტებს, რა. ის საქონელი ხომ არა, რომლის მწარმოებელი ქარხანა, ჩანასახშიც რომ არ არის? ინვესტიციებს ჩადებენ, ქარხნებს აგვიშენებენო. კეთილი, მაგრამ რა უშლიდათ ხელს 20 წლის განმავლობაში?

პარაფირება ასოცირებულ წევრობას არ ნიშნავს, ასოცირებული წევრობა კი – წევრობას. თურქეთი 1962 წლიდან არის ასოცირებული წევრი, მაგრამ გაწევრებას ვერ ეღირსა. ისინი თურქები არიან, ჩვენ – მაგარი ქართველები. ახალი სატყუარა გადმოგვიგდო ხელისუფლებამ, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში გვეყოფა.

და მაინც, ვინ და რატომ მოიგონა აღმოსავლეთის პარტნიორობა? აშშ-მა და მისმა მოკავშირე ევროკავშირმა რუსეთის საწინააღმდეგოდ. **არ გამოვიდა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება, რუსეთის მტკიცე პოზიციის გამო. ნაცვლად ამისა, გადაწყვიტეს ეკონომიკით მოხიბვლა. ეს გეგმა უფრო მეტად პოლიტიკურია, ვიდრე ეკონომიკური. დასავლეთი უწინდებურად აგრძელებს კულუარულ ომს რუსეთთან, მისი დასუსტების და დაქუცმაცებისთვის. სამწუხაროდ, ჩვენ ჩვენი უთავობით, გაჩხერილი ვართ ორთა ჭიდილსშუა.**

„ადამიანის მთელი სიცოცხლე, დაბადებიდან სიკვდილამდე, ბედნიერებისკენ სწრაფვაა. ყველას სურს, ბედნიერი იყოს, და არ არსებობს უფრო მძაფრი, უფრო უძღები სურვილი. ყველანი ვირჩევთ მხოლოდ იმ გზას, რომელიც ბედნიერებისკენ მიგვიძღვის და ხალისით აღვსილთ საგზლად მიგვაქვს ერთადერთი საზრდო – იმედი. მაგრამ იწყება მგზავრობა, თანდათანობით უკან გვრჩება, ილევა გზა და მასთან ერთად, ჩვენი იმედიც, რადგან ის, რასაც გზაში ვხვდებით, ყველაფერია, ბედნიერების გარდა. უკან მიხედვასაც ვერ ვასწრებთ, რომ გაზაფხულის სიმწვანეს, სილაღეს და სიკისკასეს შემოდგომის სიყვითლე, ჭკნობა და დაღლილობა ცვლის და ბოლოს, თავადაც დამჭკნარნი, დაღლილ-დაქანცულნი და გამოფიტულნი სამსხვერპლო ზვარაკივით ვიჩოქებთ გზის პირას, რათა სათითაოდ შევემატოთ ჩვენსავე უნუგეშოთა და უსასოთა საკრებულოს – პესიმისტთა მსოფლიო ძმობას. რატომ მოხდა ეს? დილა, ისეთი უღრუბლო იყო, გზის დასაწყისი – ისეთი მომხიბლავი და მრავლის მთქმელი! პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ გზა შეგვეშალა! იმიტომ, რომ ბედნიერების ბილიკს კი არ ვადექით, არამედ ტკბობისა და განცხრომის, ხოლო ტკბობა კი, არ ემთხვევა ბედნიერებას“ – პლატონი, „ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲔᲑᲘ“.

ვგონებ, კომენტარი ზედმეტია.

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲩᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝᲒᲘ.

ნარკვევი

გურამ გუნია ფიროსმანის საიუბილეოდ ემზადება

აკაკი ხოშტარია

მანქანა გაწვართულ გზატკეცილზე მიჰქრის. თვალი ტკბება აყვავებული აკანის ხილვით. მუხურთან, „ნაცხა გოჭკადილზე“ გადავიარეთ ხობისწყალი და ჩვენმა მეგზურმა, გოჩა სამუშიამ დაიწუწუნა:

– დრო რომ გვქონდეს, ხობისწყლის ხეობის საოცრებებსაც ვიხილავდით!...

– არა უშავს, ძვირფასო, მათს ნახვასაც მოვესწრებით, დღეს კი, არანაკლებ საოცრებებს ვიხილავთ მარტვილის გზებზე!... ცნობილმა ისტორიკოსმა, არქეოლოგმა და ეთნოგრაფმა, ბატონმა გივი ელიავამ მომატარა, სამოცდაათიანი წლების დასაწყისში „გოჭკადილი“ და მდინარე აბაშის კანიონი!... გივი ელიავა იყო ის ერისშვილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა და დააარსა ისტორიის მუზეუმი მარტვილში!...

მანქანის სარკმლიდან სულგაკმენდილი ელაციცებოდა ჩვენი გული და ფიქრები გზის გაღმა-გამოღმა ჩარახტულ ოდა სახლებსა და ეზო-კარ-მიდამოს.

სოფელ ჭოღაში შევდივართ და აღტაცებული გოჩა ამბობს:

– აი, ძმაო, რა სილამაზეა!... ყოველ ღობეს და ეზოს ეტყობა მზრუნველი ხელი და მშრომელი კაცის გონება!... თაიგულივით ლამაზი და ბარაქით სავსეა მეგრული ეზო!... ეზოს კულტურა ხელოვნების დონემდე აქვთ აყვანული სამეგრელოში!... მხოლოდ ამ სილამაზის სანახავად წამოვიდოდა კაცი აქეთ!...

– ჭოღა ბებიაჩემის სოფელია!... ჭოღელი პატარაია იყო ბებიაჩემი, მაგრამ... ეჰ, ვკარგავთ ადამიანები ერთმანეთს!... მოდი, აქეთობისას გამოვუაროთ პატარაიებს... იქნებ ვიპოვოთ ბებიაჩემის სისხლი და ხორცი!... გაუხარდებათ, ალბათ, მათაც!...

– გამოვუაროთ!... რა თქმა უნდა, გაუხარდებათ!...

მანქანა მიჰქრის და მთის კორტოხიდან „ოცინდალეს“ ლეგენდებით სავსე ტაძრის ნანგრევები მოგვაცილებენ სევდიანად...

მისთვისაც ვერ ვიცლით ამჯერად!

...მერე, მარტვილელი ბიჭების რეზინის ნავით, ხან კიდევ ფეხით, დავაბოტებთ მარტვილის კანიონის ანკარა მორევებში და ბუნების საოცრებათა ხილვა გვადუმებს...

...სუნთქვა შეგვიკრა მარტვილის მონასტრის დიდებულებამ და ღვთის საკურთხეველთან წმინდა სანთლის ცრემლებივით დაღვენთილმა მოწიწებამ მუხლებზე დაგვაყენა...

...ნოქალაქევის ბურჯებთან ციხეგოჯის მოგონებათა ქარცეცხლმა დაგვრია ხელი...



...ზეფის ციხემ ლექსად ამომათქმევინა სათქმელი:

„აფხაზეთში ცა ფირუზობს,
კახეთში კი, ხარობს ვაზი,
ზეფის ციხის გალავანზე,
დგას ქუჯი და ფარნავაზი“.

...მზე თანდათან ეშვება ლურჯად მოლივლივე შავ ზღვაში.

– ზანათში და სუჯუნაშიც უნდა გავიაროთ და მერე...

– ...და მერე, ნარკვევი დაიწერება , ალბათ, ყოველივე ნანახზე... არა?

– ...დაიწერება, ჩემო გოჩა, მაგრამ მანამდე... ჩემმა ერთმა მეგობარმა გურამ გუნიამ მიბიძგა, რომ მენახა ზანათი და სუჯუნა!...

– მსოფლიოში ყველაზე პატარა მდინარის პირას დავიბადეო, ამბობდა დიდი კონსტანტინე!

– კი!... აქვეა ის, მსოფლიოში „ყველაზე პატარა მდინარეც“,–ზანა, რომლის ნაპირებთან დაიბადა დიდი კონსტანტინე!...

...ამასობაში ზანათში შევედით. აქედან, მდინარე აბაშის გაღმა, სულ რაღაც, სამ კილომეტრშია სოფელი სუჯუნა!...

ღამის ბინდი შეჰპარვია სოფელს. წმინდა გიორგის სახელობის ტაძართან ვდგავართ ქუჩის გადაღმა თეთრი ქვით ნაგები ორსართულიანი „სასახლე“ დგას.

–ახლა ამ შენობაში სკოლაა, ალბათ?!. თავიდან, ეტყობა, სასახლე იყო!... – ხმას იღებს გოჩა.

– ეს „სასახლე“, თავის დროზე, ცნობილ მრეწველსა და ქველმოქმედს აკაკი ხოშტარიას ეკუთვნოდა!... ამჟამად, როგორც ამბობენ, სამრევლო სკოლაა განთავსებული მასში!..

– ვინ იყო აკაკი ხოშტარია?

– აკაკი ხოშტარია იყო ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი დიდი ბიზნესმენი. ქართული სულიერებითა და ერისკაცობით გამორჩეული კაცი!... ამიტომაც ეამაყება გურამ გუნიას ამ ლეგენდარული კაცის თანასოფლელობა.

...ზამთრის ერთ ყინვიან დღეს, გურამის სახელოსნოშო ვისხედით მე და გურამ გუნია.

– ეჰ, რა არი ცხოვრება!... იშვიათად ვახერხებ ზანათში ჩასვლას... საქმეები და „დღეს-ხვალეობა“, მეტწილად, სანანებელი გვიხდება, ხოლმე... ადამიანები ვკარგავთ ერთმანეთს, ვკარგავთ ეროვნულ ტრადიციებს, რომელზედაც უნდა ვიდგეთ ქართველები, ჩემო ძმაო!...

თვალებში შემომხედა.

– გაგიგონია აკაკი ხოშტარია?

– გაგონებით კი, გამიგონია, მაგრამ... გამიგონია და მეტი არაფერი!... ერთ დროს, სენაკში, ბაბუაჩემის ძმის, ალექსი ფიფიას ოჯახში სათუთად ინახებოდა იშვიათი ფოტო... ბიძაჩემი, გალაქტიონ ფიფია, სიამაყით გვეტყოდა: მამაჩემი ფოთი-სენაკის რკინიგზის მშენებლობაზე ინჟინრად მუშაობდაო... მაშინდელი გადაღებულიაო ეს ფოტო!... აი, მამაჩემი!... ეს, ნიკო ნიკოლაძე!... ეს კიდევ, აკაკი ხოშტარია!... ასეთ ხალხთან მოღვაწეობდაო მამაჩემი!....

– მეც მამაჩემისგან გამიგონია ხოშტარიაზე გასაგონი!.... მამაჩემი კიჩი, იგივე ხარიტონ გუნია, სამტრედია-ტუაფსეს ხაზზე მუშაობდა რკინიგზის უფროსად!... ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, სუჯუნაში რომ წამიყვანა მამამ და წარმოუდგენელი „ლეგენდა“ მომიყვა, მაგრამ მთავარი მაინც, ამ ბოლო წლებში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ინტერნეტ გვერდებში გამოჩენილმა ცნობებმა მიამბო!...

ბაბუაჩემი, იოსებ გუნია, მიღებული კაცი იყო რკინიგზელებში, მეგობრობდა მათთან. ცნობილი ადამიანები ხშირად სტუმრობდნენ, თურმე!... სურათებიც ჰქონდა გადაღებული მათთან, მათ შორის აკაკი ხოშტარიასთანაც და... განსაკუთრებით ამაყობდა ამითი!...

...მეთოდე რქმევია აკაკის მამას!... ტახტის აზნაურები ყოფილან!... აკაკის სანკტ-პეტერბურგში დაუმთავრებია სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი. შემდგომ გაგრაში მუშაობდა, თურმე, პრინც ოლდენბურგთან. სწორედ აკაკი ხოშტარიას დაუგეგმავს შავიზღვისპირა ქალაქებისა და კურორტების ბულვარები და ბაღ-სკვერები. სწორედ მისი, პირადი დაფინანსებითა და ხელმძღვანელობით გაშენდა ბათუმის ცნობილი ბულვარი, გაგრის პარკი, მახინჯაურის ბოტანიკური ბაღი. შემდეგ, ბატონი აკაკი, წლების მანძილზე, ირანში ცხოვრობდა. საკმაოდ დამეგობრებული იყო სპარსეთის შაჰთან, მუჰამედ ალისთან და მის მემკვიდრესთან, აჰმად შაჰთან. აკაკი ხოშტარიამ აჩუქა, თურმე, ირანის შაჰს პირველი ავტომობილი. პირველი მსოფლიო ომის წინ, უკვე საქვეყნოდ ცნობილმა ბიზნესმენმა, ბაქოსა და თბილისში ჩამოაყალიბა რამდენიმე ამხანაგობა, რომლებშიც გაერთიანდნენ ნავთობის ცნობილი მაგნატები. ამიერკავკასიასა და ირანში სავაჭრო ოპერაციებს ახორციელებდა ხოშტარიას მიერ დაარსებული ფირმა „რუპენტო“, ფინანსურად ყველაზე დიდი და გავლენიანი ფირმა, რომლის მსგავსიც ოდესმე შეუქმნიათ ქართველებს... სწორედ ამ ფირმის პრეზიდენტი იყო აკაკი ხოშტარია. ამ კომპანიამ და კონსტანტინეპოლში დაარსებულმა „ხოშტარიას ბანკმა“ კი, უდიდესი ინტერესი გამოიწვია ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის წამყვან ქვეყნებში. 1913 წელს აკაკი ხოშტარიამ 99-წლიანი კონტრაქტი დადო ჩრდილოეთ ირანის მიწათმოქმედებთან; დააარსა კომპანია „პერს-ლესი“, რომლის კაპიტალიც მოიცავდა რამდენიმე მილიონ ოქროს რუბლს. ყოველივე ამის გარდა, ფლობდა „ელექტრონულ ფაბრიკას“ „გაიყვანა ირანის სარკინიგზო ხაზი. ამ ქვეყანაში შეიყვანა პირველი ავტოტრანსპორტი; დადო ხელშეკრულება ბროტონ ფ.ფ. ლიჩთან, რათა ლონდონში დაეარსებინა კომპანია, რომლის ძირითადი კაპიტალი 2 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენდა. 1923 წელს ბატონმა აკაკიმ მიიღო ნავთობის კონცესიები სემნანში და დააარსა ახალი კომპანია, რომლის ქონების უდიდესი ნაწილი მის საკუთრებას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ამ კომპანიამ არსებობა შეწყვიტა 1932 წელს, მისი დამაარსებლის გარდაცვალების გამო!...

მის მფლობელობაში ითვლებოდა ქალაქი ენზელი, მან იტალიაში შეიძინა ოთხი გემი და ამ გემებს უწოდა:-„პრეზიდენტი ჟორდანია“, „საქართველო“, „თამარ მეფე“, და „შოთა რუსთაველი“!... და ისინი საჩუქრად გადასცა საქართველოს! აკაკი ხოშტარიას ხარჯებით საზღვარგარეთ სწავლობდა არა ერთი და ორი ქართველი ახალგაზრდა. საფრანგეთში შეიძინა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმს გამოუგზავნა ლადო გუდიაშვილისა და ცნობილი კუბისტის, ანდრე ლოტის ნახატები. ეს დიდებული მამულიშვილი და მეცენატი რუდუნებით ედგა მხარში ქართულ ხელოვანებსა და მწერლებს, ქომაგობდა მათ! სწორედ, ბატონმა აკაკი ხოშტარიამ აუქციონზე შეიძინა დავით სარაჯიშვილის სოლოლაკში მდებარე სასახლე და იგი ქართველ მწერლებს გადაეცა!... ბოლოს, 1924 წელს მობრძანებულა ჩვენსას, ბაბუაჩემის დასაფლავებაზე, ორ მეგობართან ერთად!... ასეთია, ჩემო ბატონო, ამ ერისშვილის ბიოგრაფიის მცირე ნაწილი... მისი სახელი კი, ჩვენდა საჩოთირროდ, ქართულ ენციკლოპედიაშიც არ არის შეტანილი!... ვივიწყებთ თანდათანობით!... არადა, „საქართველოვ შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?“... მით უმეტეს, ასეთი შვილი?... ამიტომაც გკითხე, – გაგიგონია რამე აკაკი ხოშტარიაზე-მეთქი!

–ახალგაზრდებს ნაკლებად გვსმენია ამ დიდებულ ქართველზე! – სინანულით ამოთქვა გოჩამ, – ბატონ გურამზე კი ის ვიცი მხოლოდ, რომ, – ხელოვანია!

გურამ გუნია ჩვენი მეგობარია!... შესანიშნავი მხატვარი და შემოქმედი... მახსოვს, სამების დიდებულ ტაძარში ივერიის ბრწყინვალე ღვთისმშობლის მოზაიკური ხატი შემობძანდა!... საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გულმხურვალედ აკურთხა იგი! სამების ტაძრის ხარების ეკლესიაში დავანდა მადლი ღვთისმშობლისა. ქართველი კაცის შთაგონებამ შექმნა ეს უწმინდესი სახე და ქრისტიანული მოკრძალებით კიდევ ერთი დიდებული ძეგლი დაუდგა ერის სულიერებას. მხატვარი, სკულპტორი და ხელოვანი, გურამ გუნია იყო ამ ხატის ავტორი! კოლხი კაცი, რომელსაც ბავშვობიდან მოჰყვებოდა ერის კულტურის, მითოლოგიისა და სიწმინდეთა თაყვანისცემა. ჯერ კიდევ, მისმა სადიპლომო ვიტრაჟულმა ნამუშევარმა „ავთანდილის სიმღერამ“, უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ასეთივე წარმატება ჰქონდა მის მეორე ვიტრაჟს – „ჩირაღდანი“. გურამის ხელოვნებამ დაამშვენა მოსკოვი, რიგა, კიევი და სხვა ქალაქები. 1978 წელს კი, გურამ გუნიას, სოხუმის სასტუმრო კომპლექსის გაფორმებისათვის სახელმწიფო პრემია მიენიჭა!... მხატვარი წარმატებით მუშაობს გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში, იქნება ეს ხეზე თუ, ქვაზე კვეთა, ჭედურობა, კერამიკა, მინანქარი, მონუმენტური ფერწერა, გრაფიკა. გურამ გუნიამ გარკვეულ დონეზე აიყვანა მინანქრული ტექნიკის ეროვნული ტრადიციები. მინანქრული ტექნიკის უმაღლეს დონეზე ათვისებამ შეაქმნევინა მას ისეთი ბრწყინვალე პორტრეტები და ნატურმორტები, როგორიც არის უკვე საქვეყნოდ აღიარებული მითოლოგიურ-ქრისტიანულ მოტივებზე შექმნილი მხატვრული ძეგლები, – „მესიის გამოცხადება“, „სიცოცხლის ხე“, „მედეა“, „იაზონი“, „ტვირთი“ და მრავალი სხვა. ხოლო მისი საჭრეთლისა და ყალმის მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს გრანდიოზული კომპლექსი – „აიეტი“, „მედეა“ და „არგო“! გურამის ნამუშევრებმა 1994 წელს სენსაცია მოახდინეს სანკტ-პეტერბურგში და იაროსლავში ჩატარებულ ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე. და მაინც მისი შემოქმედების აპოთეოზია გრანდიოზული „ტაძარი შუქურა“, რომელიც განასახიერებს ქრისტიანული ჯვარის ძალასა და სიდიადეს, მსოფლიო მართლმადიდებლური სამყაროს სულიერ და ზნეობრივ ერთობას...

ამჟამად ფიროსმანის 150-ე წლისთავისათვის ემზადება გურამი. უნიკალური პროექტი აქვს შექმნილი!... მოზაიკაში გამოქანდაკებული ფიროსმანის „მეთევზე“, „ექიმი“, „ქალბატონი ყვავილებით“, „საადგომო ცხვარი“. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სასტუმრო-გალერეა „ფიროსმანი“, რომლის ძირითადი შენობის სიმაღლე 118 მეტრი იქნება და მის თავზე აღიმართება ფიროსმანის „შვლის“ ქანდაკება!... ამ უნიკალურ ნაგებობაში განთავსდება სამხატვრო გალერეები, რესტორანი და კომფორტული სასტუმრო მრავალრიცხოვანი ტურისტისათვის!... ასეთი მაგარი ხელოვანი ძმაკაცი მყავს, ჩემო გოჩა, – სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი გურამ გუნია!

– ვინ ახორციელებს მის ამ ჩანაფიქრს?

– ...განა მხოლოდ ესაა გურამ გუნიას შემოქმედება?!... მართალია, ბევრი მისი ჩანაფიქრი უკვე განხორციელდა, მაგრამ ბევრი, ელოდება ისეთ დიდ ქველმოქმედს, როგორიც აკაკი ხოშტარია იყო!...

...მანქანა ტრასაზე მიჰქრის და კეცავს კილომეტრებს. ჩვენ თბილისისკენ ვადგევართ გზას და გული გვწყდებოდა, რომ პატარაიებს ვერ გავუარეთ ჭოღაში!

ასეა!... ხვალისთვის გადავდებთ საქნარს და მაშინაა, რომ ადამიანები ვკარგავთ ერთმანეთს!...

ზაურ ფიფია

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართულმა ოპოზიციამ „სააკაშვილის-შემდგომი ეპოქა“ კინკლაობით გახსნა

საძართველოს ყოფილი ხელმძღვანელის მიხეილ სააკაშვილის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ დაიწყო ცენტრობეჟური პროცესები, რომელმაც შეიძლება იქ საშინაო ოპოზიციის გაჩენამდე მიგვიყვანოს. „ნაციონალების“ მიერ 27 ოქტომბერს წაგებული პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ პოლიტიკური საბჭოს პირველი სხდომა, რომელიც 1 დეკემბერს გაიმართა, ძნელად რომ დააცხრობს მღელვარებას. დარღვეულია პარტიული დისციპლინა, რომელიც ტრადიციულად განასხვავებდა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ სააკაშვილის მმართველობის დროს, და დაპირისპირებას უკვე ველარ მალავენ.

სანამ ექსპრეზიდენტი საზღვარგარეთაა, მის მოძრაობაში გაჩალდა მეტოქეობა პორტფელებისთვის

მაგალითად, დეპუტატმა — „ნაციონალმა“ გიორგი ვაშაძემ, წინ გაუსწრო კრებას და საჯაროდ გააკრიტიკა მოძრაობის მართვის ამჟამინდელი სტილი, განაცხადა, რომ, არსებული მოდელის თანახმად, გადაწყვეტილებას ღებულობს 2-3 ხელმძღვანელი, ყველა დანარჩენი კი მათ უნდა გაჰყვეს. საჭიროა გულღიაობა, კონკურენცია, რიგითი მომხრეების, სხვა ლიდერების აქტიური მონაწილეობა.

იმის დადასტურება, რომ საქართველოს მთავარ ოპოზიციურ ძალაში ამჟამად ყველაფერი რიგზე არ არის, გახდა ვაშაძის განცხადება იმის შესახებ, რომ აპირებს, კენჭი იყაროს 2014 წელს თბილისის მერობაზე. ადრე ამჟამინდელი ქალაქის ხელმძღვანელი — „ნაციონალი“ გიორგი უგულავა ამბობდა, რომ აპირებს ხელმეორედ წამოაყენოს თავისი კანდიდატურა. მაშასადამე, თანხმობა ერთიანი კანდიდატის შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს და, ალბათ, პარტიას მოუწევს მიმართოს პრაიმერიზს.

ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, „ნაციონალების“ სხვადასხვა ფრთა სიგნალს აძლევს სააკაშვილს, რომ განსაზღვროს, თუ ვისი მხარე დაიკავოს. მაგრამ სცალია კი ამისთვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს, რომელიც შეშფოთებულია ამჟამად საკუთარი შრომითი მოწყობის პრობლემებით? ექსპრეზიდენტმა ქართულ პოლიტიკაში აიღო პაუზა და გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც

აპირებს ლექციების წაკითხვის ან სხვა პოლიტიკური საქმიანობის შესაძლებლობის განხილვას. მოლოდინის მიუხედავად, სააკაშვილი 28 ნოემბერს არ დასწრებია ვილნიუსში ერთიანი სახალხო პარტიის შეხვედრას, რომელიც მისი მოძრაობის ტრადიციული პარტნიორი და დამცველია. მის ნაცვლად იქ იმყოფებოდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი დავით ბაქრაძე და უშიშროების საბჭოს ექსმდივანი გიორგი ბოკერია.

1990-იანი წლების ბოლოს მაშინ საქართველოში მმართველ ედუარდ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირში“ გაჩნდა შინაგანი ოპოზიცია — ეგრეთ წოდებული „რეფორმატორები“, რომლის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ჩამოაყალიბა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მიიღო ხელისუფლება. მეტად მსგავსი სიტუაცია არის ამჟამად თავად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“. საქართველოს პარლამენტში რესპუბლიკური ფრაქციის ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ „ოპოზიციის ყველაზე კვალიფიციური ნაწილი უპირატესობას ანიჭებს მნიშვნელოვან დისტანციას სააკაშვილისგან, ვინაიდან მასთან განწირული არიან პოლიტიკური გამოუსავლიანობისთვის“.

— მიმაჩნია, რომ ადგილობრივი არჩევნებისთვის (2014 წლის გაზაფხული ან ზაფხული) ქვეყანაში იქნება ასეთი პოლიტიკური კონფიგურაცია: „ქართული ოცნება“, როგორც უტყუარი ლიდერი, შემდეგ — ამჟამინდელი „ნაციონალური მოძრაობის“ ნაწილი სააკაშვილის ტყვეობიდან და მესამე პოლიტიკური ცენტრი, რომელიც კონცენტრირებას ახდენს პარლამენტის ექსსპიკერის ნინო ბურჯანაძის ირგვლივ, — გვითხრა დავით ბერძენიშვილმა.

ამ პირობებში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარეობს დაპირისპირება საკვანძო პორტფელებისთვის. პარტიის გენერალური მდივანი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ივანე მერაბიშვილი 21 მაისიდან პატიმრობაში იმყოფება. მის წინაშე წაყენებული ბრალდებების კომპლექსით მას 17 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ჯერ კიდევ ივლისში ფრაქციის „მაჟორიტარი დეპუტატი“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ აკაკი ბობოხიძე ჩვენთან საუბარში ამბობდა, რომ **„აუცილებელია მოხდეს პარტიული ხელმძღვანელობის შეცვლა, მოძრაობის ლიდერების პოლიტიკური პასუხისმგებლობის შესაბამისად, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით 2004-2012 წლებში“.** ბობოხიძის აზრით, **სააკაშვილს არ უნდა დაეკავებინა პარტიის თავმჯდომარის პოსტი, მერაბიშვილს — გენერალური მდივნისა.**

— გამოუვა თუ არა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ რებრენდინგი — ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, — აღნიშნა ქართველმა პოლიტოლოგმა ხათუნა ლაგაზიძემ. — **მათ შორის იმაზეც, რამდენად იქნება მზად ჩვენი საზოგადოება, აღიქვას ეს პარტია, როგორც ისეთი, რომელმაც გაიკეთა დასკვნა და გახდა დემოკრატიზირებული.**

მისი სიტყვებით, ასევე გაურკვეველია, უარი განაცხადა თუ არა სააკაშვილმა პოლიტიკურ ამბიციებზე სამშობლოში.

— ამ მომენტისთვის მიხეილ სააკაშვილი — საკუთარი პარტიის ზედმეტი ტვირთია, — ამბობს ლაგაზიძე.

თბილისის გაზეთმა „ალიამ“ გვაცნობა, რომ მზადება პოლიტსაბჭოს სხდომისთვის და განსაკუთრებით კინკლაობანი იმის გამო, თუ მომავალში ვინ უნდა დაიკავოს მდივნების პოსტები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საგარეო და რეგიონალური პოლიტიკისთვის, იქცა „ძველი ფრთისა“ და „ახალ სახეთა“ წარმომადგენლებს შორის. ამ ბრძოლაში, თითქოსდა, მონაწილეობდნენ ქალაქის მერი უგულავა, რამდენიმე ყოფილი გუბერნატორი და დეპუტატი. პარალელურად ცნობილი გახდა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქცია პარლამენტში დატოვა ცნობილმა ბიზნესმენმა დავით ბეჟუაშვილმა, რომელმაც არჩია, იყოს დამოუკიდებელი დეპუტატი. 2012 წლის 1 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებზე „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 150-დან 65 მანდატი მიიღო. დღეისთვის მას უკვე გამოეყო 14 დეპუტატი.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

საქართველო ტოტალიტარულ იდეოლოგიებთან ბრძოლას გააძლიერებს

თბილისში ამკვიდრებენ ჯარიმებს აკრძალული სიმბოლოების გამოყენებისთვის

საძართველოში კომუნისტური და ფაშისტური სიმბოლოების გამოყენება ამიერიდან არა უბრალოდ ფორმალურად არის აკრძალული, არამედ ისჯება კიდეც სერიოზული ჯარიმებით. შესაბამისი ცვლილებები პარლამენტს შეაქვს „თავისუფლების ქარტიაში“ და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსში. ამას გარდა, უახლოეს პერიოდში იგეგმება კომისიის შექმნა, რომელიც თვალყურს გაადევნებს ტოტალიტარული იდეოლოგიების სიმბოლოებს.

საზოგადოებრივ ადგილებში კომუნისტური და ფაშისტური სიმბოლოების გამოყენება, აგრეთვე ტოტალიტარული იდეოლოგიების ლიდერების ძეგლების დადგმა დაისჯება ჯარიმით ერთი ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისი ცვლილებები „თავისუფლების ქარტიაში“ და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსში პარლამენტმა მიიღო პირველი წაკითხვით.

„თავისუფლების ქარტია“ დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის მაისში. მისი ერთ-ერთი პუნქტი შეიცავდა საზოგადოებრივ ადგილებში კომუნისტური და ფაშისტური სიმბოლოების აკრძალვას — ასე იქნა გათანაბრებული ეს ორი იდეოლოგია. ახლა კი „ქარტიაში“ ცვლილებების ავტორი ლევან ბერძენიშვილი დაბეჯითებით მოითხოვდა ფულად სასჯელს აკრძალული სიმბოლოების წინწაწევისთვის. საბაბად იქცა იოსებ სტალინის ძეგლების აღდგენის რამდენიმე შემთხვევა საქართველოს რეგიონებში. ბატონმა ბერძენიშვილმა განმარტა, რომ დღემდე კანონმდებლობა არ იძლეოდა საშუალებას — ეფექტიანად გვებრძოლა ტოტალიტარული იდეოლოგიების გავრცელებასთან.

რატომ გააფართოვა „თავისუფლების ქარტიამ“ სპეცსამსახურების უფლებამოსილებანი

„თავისუფლების ქარტიის“ ცალკეული დებულებები უპრეცედენტოდ აფართოებენ ძალოვანების უფლებამოსილებას. დოკუმენტის ავტორების აზრით, იგი ხელს შეუშლის რუსეთის სპეცსამსახურებს აქტიურად იმოქმედონ საქართველოში, გამოიყენონ ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქის აგენტურა.

ცვლილებები, რაზეც საუბარია, აზუსტებენ მნიშვნელობას ცნებისა „ტოტალიტარული კომუნიზმის სიმბოლიკა“. ქართველ კანონმდებელთა განსაზღვრით, ტოტალიტარულ კომუნიზმს „ახასიათებს ადამიანის უფლებათა დარღვევა, მასობრივი ფიზიკური ტერორის სხვადასხვა ფორმები, ინდივიდუალური და მასობრივი მკვლელობები, სიკვდილით დასჯა საკონცენტრაციო ბანაკებში, შიმშილობა და დეპორტაცია, წამებანი და მონური შრომა, დევნა ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე, თავისუფლების შეზღუდვა“.

ორი თვის განმავლობაში შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც თვალყურს გაადევნებს, რომ კომუნისტური და ფაშისტური სიმბოლიკა არ იქნეს გამოყენებული სახელმწიფო საკუთრების ობიექტებზე და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებებზე.

იგივე კომისია თვალყურს გაადევნებს, რომ სახელწოდებანი, რომლებიც შეიცავენ ტოტალიტარული იდეოლოგიის პროპაგანდას ან მათი ლიდერების სახელს, ასევე არ უნდა იქნენ დაყვანილი ქალაქის სხვადასხვა ობიექტებამდე და დასახლებულ პუნქტებამდე. იმ შემთხვევაში, თუ განკარგულება დაირღვევა, ჩინოვნიკებს გამოუტანენ გაფრთხილებას ან დაჯარიმებენ დიდი ოდენობის ჯარიმებით.

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე

ნახევრადშიშველმა უკრაინელმა ფემინისტმა ძალებმა პარიზში იანუკოვიჩის პორტრეტს მიაშარდეს

ქალიშვილების სხეულებზე ინგლისურად ეწერა: „უკრაინა ევროკავშირში“ და „იანუკოვიჩ, მოგვწყდი თავიდან“ „ფენემის“ აქტივისტებმა ასე რადიკალურად გამოხატეს თავიანთი პროტესტი იანუკოვიჩის „დიქტატორული რეჟიმის“ წინააღმდეგ, რომელსაც „სექსტრემისტები“ ბრალს სდებენ ძალადობაში საკუთარ ხალხზე.

* * *

ხორვატიამ რეფერენდუმის დროს ოჯახად აღიარა მხოლოდ მამაკაცებისა და ქალების კავშირი

ევროკავშირში შესვლის შემდეგ ხორვატია დარჩა კონსერვატიულ და კათოლიკურ ქვეყნად: კათოლიკური ჯგუფის ინიციატივით კონსტიტუციაში შეიტანენ ოჯახის განსაზღვრას, რომელიც გამორიცხავს ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზაციას.

* * *

გვატემალაში ასობით ლინჩის კანონით გამსამართლებელმა ცოცხლად დაწვა ძალი, რომელიც მეზობელს ვალს არ უხდიდა

პოლიციის მონაცემებით, საკითხი შეეხება კარგად მოფიქრებულ და მომზადებულ დანაშაულს, ვინაიდან მკვლელებმა წინასწარ ბარიკადებით გადაკეტეს ქალაქ სან-ხუან-საკატეკეს-ში შესასვლელი, რომ ანგარიშსწორების ადგილზე არ დაეშვათ უშიშროების ძალები. დაახლოებით 250 კაცმა ალყა შემოარტყა ქალის სახლს, გამოათრიეს იგი გარეთ და დაწვეს.

* * *

ჩინეთმა წარმატებით გაუშვა მთვარეზე რაკეტმზიდი „ნეფრიტის კურდღლით“ ბორტზე

„ჩანიე-3“-ის აპარატი მთვარე-მავალ „იუიტუსთან“ ერთად, რომელსაც ეს სახელი მიანიჭეს მთვარის ქალღმერთ ლუნა ჩანიეს კურდღლის პატივსაცემად, მთვარეზე უნდა დაეშვას დეკემბრის შუა რიცხვებში და სამი თვის განმავლობაში შეისწავლოს დედამიწის თანამგზავრის ზედაპირი. ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებმა უკვე გამოთქვეს შიში, რომ „ჩანიე-3“ წარმოქმნის მტვრის ღრუბელს და ხელს შეუშლის „ნასას“ მკვლევარებს.

◎ გამოფენა

გალაკტიონი - რეზო ადამიას „პლანეტარიუმში“

მხატვრის შემოქმედებას მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მასპინძლობს

...ბამხმარ ჭადრის ფოთლებს სისხლი სდით! — ასეთ ალეგორიას ნახავთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დარბაზში, სადაც მხატვარ რეზო (ემელიანე) ადამიას პერსონალური გამოფენა მიმდინარეობს. „გარდაცვლილ“ ფოთლებზე სისხლივით წითელი წვეთები დაუსხამთ; ამან უნდა გადმოსცეს განწყობილება მხატვრისა, რომელიც უკვე მერამდენე წელია, ცდილობს ამოხსნას და ფერებში გამოსახოს უდიდესი გენიის — გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ემოციები, განცდები, მისი კოსმოსთან შერწყმის დინამიკა და ტრაგიზმი. მხატვარმა ამ თემებზე უკვე 180-მდე სურათი შექმნა.

გამოფენა ჰარმონიულად გიხსნის პოეტის შემოქმედების დეტალებს, მაგრამ ამ იდილიას არღვევს მძაფრი შეგრძნებები, რომელიც ახლავს ნახატების დათვალიერებას. გამოფენაზე დაახლოებით 100 სურათია გამოფენილი, რომელთა შორის 40 სულ ახალია. ზოგი აბსტრაქტულია, ზოგიც — კონკრეტული, ხოლო ექვს ახალ ნახატში უშუალოდ ჩანს გალაკტიონის სახე: ხან მშვიდი, ხან მეტყველი, ხანაც მშფოთვარე და ამღვრეული...



ერთ კუთხეს მხატვარმა დრამატული უწოდა და ასე დაასათაურა „სამყაროს სახე და გალაკტიონი“. ამ ნახატებში გამოსახულია სიკვდილი, იდუმალება, სიცოცხლე, გაჩენის საიდუმლოება, კეთილისა და ბოროტის ჭიდილი... ეს კარგად ჩანს სურათში „სამყარო, პირამიდა, გალაკტიონის მზერა და იდუმალება“.— **რას ნიშნავს იდუმალება, თქვენეული ახსნით? — ვეკითხები მხატვარს. „იდუმალება ყველაფერია“, — მიპასუხებს იგი, — კარგისა და ცუდის მოლოდინი. კოსმოსს თან დასდევს იდუმალება და გაქრობით ემუქრება. მით უფრო, რომ ის დასდევდა გალაკტიონს“. სურათზე კარგად ჩანს სამყაროში მომზირალი გალაკტიონის თვალი, მხოლოდ თვალი...**

სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულობა უწყვეტად ტრიალებს ნახატებში და სილამაზის საოცარ პანორამას ქმნის: გალაკტიონის ეზო ჭყვიშში თოვლიან, მთვარიან ღამეში. ამ ერთობ რეალურ ნაწარმოებში საიდანღაც ჩნდება მთავარანგელოზი, რომელიც დაამწუხრა პოეტის უდანაშაულო სისხლმა... თითქოს სწორედ ეს სისხლი გადაღვრიათ იატაკზე მოქუჩებულ ფოთლებსაც. მხატვრის აზრით, მგოსნის სისხლით მორწყულია კოსმოსიც. სურათებზე შფოთავენ ლურჯა ცხენები და უსასრულობისკენ მიექანებიან... სისხლისფრად ჩადის მზე და ამ დრამატული კუთხის ნახატებიც მთავრდება...

საინტერესოა სხვა სურათებიც. მაგალითად, ერთ-ერთში კარგად იკითხება, როგორ ტრიალებს გალაკტიონის გარშემო რეალური და ირეალური სამყარო: დედამისი მაკრინე, მესაფლავე, ნოდარ ტაბიძე, ოლია ოკუჯავა, მერი... ყველა ის პერსონაჟი თუ ლექსის ფაბულა, რომელთაც აუღელვებიათ პოეტის სული. თავად პოეტის სულის მარადიულობა კი მხატვარს აბსტრაქტული ხერხებით აქვს გადმოცემული. სურათზე მკვეთრი, სწორი წითელი წრფე დინამიურად გადადის მარადიულ ვარდისფერ რკალში. იქვე მწვანე ფერი — სიცოცხლის მუდმივობაზე მიგითითებს. „გალაკტიონის ლექსთკივილი სამყაროს წვავდა“ — ასე ჰქვია სურათს, სადაც ნახატის ცენტრიდან გალაკტიონის გაშმაგებული სახე ბგერებს „მიმოაბნევს“ მთელ სივრცეში. მხატვარს სჯერა, რომ პოეტის ხმა ახლაც დაეხატება კოსმოსში, რადგან სამყაროში არც ერთი ბგერა არ იკარგება.

ადამიასეულ კოსმოსურ სამყაროში უამრავი წერტილი იშრიტება, ამ თითოეულ წერტილზე დიდ დროსა და ენერგიას ხარჯავს მხატვარი. **სიცოცხლე ჯოჯოხეთს უტოლდებაო, მაგრამ იმედის ვარსკვლავი ყველასთვის ანათებს,** — მიხსნის შემოქმედი — **ასე რომ არ იყოს, გალაკტიონივით ყველა თავს მოიკლავდაო.** გალაკტიონის შემოქმედების ტრაგიზმი ცხადად იშიფრება ამ გამოფენაზე, რომელსაც „გალაკტიონი და კოსმოსი“ ჰქვია.

დასანანია, რომ ეს სურათები უდიდეს დროს მხატვრის სახელოსნოში ატარებენ და იშვიათად გვრიან სიამოვნებას დამთვალიერებელს.

ამჯერად, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, უშუალოდ პრეზიდენტ გიორგი კვესიტაძის დამსახურებაა, რომ გამოფენა მასპინძლობს ხელოვნების შემფასებლებსა თუ დამფასებლებს. მსურველებს კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში შეუძლიათ ესტუმრონ რეზო ადამიას ნამუშევრებს, რათა ხილულად განიცადონ კოსმოსური პოეტის — გალაკტიონის არაჩვეულებრივი სამყარო. ამ სამყაროში დატრიალებული ქარიშხალი, აგიზგიზებული ცეცხლი თუ ლურჯი ცის მსგავსი სიმშვიდე და ჰარმონია...

თეა მოსია

◎ ახალი ქორეოგრაფიული სტუდია

„შავლეგო“ გელით, პატარა მოცეკვავეებო!

სახელოვნებო დინასტიების წვლილი ეროვნული კულტურის განვითარებაში, მისი საგანძურის მოფრთხილებაში, ქვეყნის გარეთ სახელის გატანა-პოპულარიზაციაში განუზომლად დიდია. სუხიშვილების, ამირანაშვილების, მაჭავარიანების, ჭოხონელიძეების გვარები საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც კარგადაა ცნობილი. ამ ჯერზე ამ დიდად პატივსაცემი ხალხის კიდევ ერთი დიდებული გვარის წარმომადგენლებს, ხუბუების „მოცეკვავე“ ოჯახს გაგაცნობთ.

თბილისის კულტსაგანმანათლებლო ინსტიტუტის ქორეოგრაფიის სპეციალობით დამთავრების შემდეგ, ჭიჭიკო ხუბუამ მუშაობა ნავთლუღში, რკინიგზელთა სახლში დაიწყო, სადაც მუშა-მოსამსახურეების მონაწილეობით ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი შექმნა. მისი მუშაობის ნაყოფიერებაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ მეუღლესთან, დოდო სიმონიშვილთან ერთად უკვე თავისი შვილებთან ერთად საბავშვო საცეკვაო დასი შექმნა. მეუღლეების მუშაობა იმდენად წარმატებული იყო, რომ თბილისის სხვადასხვა სკოლაში მათ მიერ შექმნილი ბავშვთა კოლექტივები ექვს ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე უამრავ სხვადასხვა დონის ოლიმპიადაში მუდამ იმარჯვებდნენ, რასაც მრავალი ჯილდო მოწმობს.

მშობლების კვალს ბატონი ჭიჭიკოსა და ქალბატონი დოდოს ვაჟიშვილი მალხაზიც გაჰყვა, რომელიც მათთან ერთად ქართული ცეკვის სტუდია „შავლეგოში“ მუშაობდა. მუშაობდაო, წარსულში იმიტომ ვამბობთ, რომ ბატონი მალხაზ ხუბუა უდროოდ გარდაიცვალა, თუმცა კი მალე მისი ადგილი ბებია-ბაბუის გაზრდილებმა გიორგიმ და დავითმა დაიკავეს. გიორგი ხუბუა ამჟამად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოღვაწეობს, სადაც მსოფლიო ხალხთა ცეკვებს ასწავლის ახალგაზრდებს. მისმა ძმამ დავით ხუბუამ თბილისის კულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა თბილისის №139 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დაიწყო, სადაც 5 წელი იღვაწა. საკუთარი საცეკვაო სტუდიის შექმნის იდეაც მაშინ დაებადა.

— სტუდიის მშენებლობამ ძალიან დიდი ძალისხმევა მოითხოვა, დღე და ღამე გასწორებული მქონდა, თან ბავშვებს ვასწავლიდი ცეკვას, თუმცა კი ახლა რომ ვუყურებ საკუთარი შრომის ნაყოფს, თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ ეს საქმე წვალებად ნამდვილად ღირდა, — სიამაყით ამბობს დავითი.

მართლაც, ჩინებული სანახავია საბურთალოს მე-3 კვარტალში, შავიშვილის ქუჩის №19-ში ქართული ცეკვის სტუდიის „შავლეგოს“ ახალი, კოპწია სამსართულიანი შენობა, რომლის გახსნა ბატონმა დავითმა თავისი მამის, ბატონ მალხაზ ხუბუას ხსოვნას მიუძღვნა. ახალ სტუდიას ორი სავარჯიშო დარბაზი აქვს, სადაც 400 ბავშვი მეცადინეობს. პირველ სართულზე მშობლების მოსაცდელ დარბაზში კი კაფე ფუნქციონირებს.

ახალი სტუდიის საზეიმო გახსნას მრავალი სტუმარი, მთ შორის თბილისის სხვადასხვა სკოლის ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი მოსწავლეები, მშობლებთან ერთად, დაესწრო. ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ „შავლეგოსნაირი“ კარგი სტუდია საქართველოში მეორე არ არის და რომ იქ „ცუდად სწავლა“ უბრალოდ, შეუძლებელია. თავად ბატონმა დავით ხუბუამ კი აღნიშნა, რომ მართალია, დღესდღეობით სტუდიას რამდენიმე ასეული ბავშვი ჰყავს გასაწვრთნელი, მაგრამ პოტენციალი გაცილებით დიდი აქვს და საჭიროების შემთხვევაში „დამატებითი სიმძლავრეების ჩართვაც“ სავსებით შესაძლებელია.

„შავლეგოს“ ოფიციალური ნათლობის აღსანიშნავად ნორჩმა მოცეკვავეებმა სტუმრებს დაუვიწყარი კონცერტი აჩვენეს, ყველაფერი კი ლამაზი ფეიერვერკით დასრულდა.

ნინო ალექსანდრია,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

◎ ხელბურთი

ქართველებმა რუსებიც დაჯაბნეს

ერევანში დამთავრდა 1996-1997 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი სომხეთის პრემიერ-მინისტრის თასზე, რომელშიც მასპინძლებთან ერთად ქართველები, უკრაინელები და რუსები მონაწილეობდნენ. ჩვენმა ბიჭებმა ზედიზედ სძლიეს უკრაინას (33:28) და სომხეთს (32:21). ასევე, ორი მატჩი მოიგეს რუსებმა — უკრაინასთან 43:16, სომხეთთან 45:13, ამდენად, მთავარი პრიზის მოსაპოვებლად ტიტე კალანდაძისა და გიორგი გვაზავას შეგირდები სწორედ ჩრდილოელ მეზობლებს დაუპირისპირდნენ. მატჩი ჩვენების იერიშებით დაიწყო და პირველი ტაიმი ოთხი ბურთის სხვაობით მოიგეს — 17:13. ქართველებს (ცინცაძე, ხიდეშელი, ორჯონიკიძე (11), ცხვარაშვილი (9), ხაჟომია (7), გოგოლაძე (4), გიორგაძე (1), კოხრეიძე (1), აბჟანდაძე, დემეტრაშვილი, ბაძაღუა, დიხამინჯია, ცუხიშვილი, ნაზღაიძე) შესვენების შემდეგაც არ დაუთმიათ ინიციატივა და ორთაბრძოლაც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს, გაიმარჯვეს 33:28 და სომხეთის პრემიერ-მინისტრის თასი მოიპოვეს. მატჩში 11 გოლი სტუ-ს შუამარბმა თემურ ორჯონიკიძემ (3 თამაშში მის ანგარიშზეა 36 გოლი) გაიტანა. იგი გუნდის კაპიტანიცაა და ტურნირის დამთავრების შემდეგ სწორედ მან ჩაიბარა სომხეთის პრემიერ-მინისტრ ტიგრან სარქისიანისგან მთავარი პრიზი. მესამე ადგილისთვის პაექრობაში სომხებმა უკრაინელებს აჯობეს 21:20.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ძ
საქართვ.	3	3	0	0	98:77	6
რუსეთი	3	2	0	1	116:62	4
სომხეთი	3	1	0	2	55:97	2
უკრაინა	3	0	0	3	64:97	0

საქართველოს 18-წლამდელ ხელბურთელთა ნაკრები 2014 წლის ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში 10-12 იანვარს ხორვატეთში იასპარეზებს. **10 იანვარს** ითამაშებენ საქართველო — ჰოლანდია, **11 იანვარს** — საქართველო — ხორვატეთი, **12 იანვარს** — საქართველო — მაკედონია. ფინალურ ეტაპზე ჯგუფიდან 2 საუკეთესო გუნდი გადის.

ლექსო ცინცაძე

სურათებზე: სომხეთის პრემიერ-მინისტრი ტიგრან სარქისიანი მთავარ პრიზს გადასცემს თემურ ორჯონიკიძეს; გამარჯვების სიხარული.

◎ ჭიდაობა

ერთი „ოქრო“ და ორი „ვერცხლი“

ნიცაში (საფრანგეთი) გამართულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა 37-ე საერთაშორისო ტურნირში თავი ისახელეს საქართველოს ნაკრების წევრებმა. 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი ჩხარტიშვილმა ყველა მეტოქე დაჯაბნა, მათ შორის გადამწყვეტ პაექრობაში ლატვიელი არმანდას ზვირბულისი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მსგავს წარმატებამდე თითო მოგება დააკლდათ რამაზ დარჩიძესა (55 კგ.) და ომარ გურჯიძეს (66 კგ.), რომლებმაც ფინალები, შესაბამისად, ზოჰეირ ელ კუარაკესა და მაქსიმ ფიკესთან დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ.

ვაჟა ნოსირელი

◎ ჭადრაკი

სადეკემბრო რეიტინგი

ფიდემ განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. 2693 პუნქტით ქალების პირველ ათეულს სათავეში უდგას უნგრელი იუდით პოლგარი. მეორე ადგილზეა ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (2619), შემდეგ მოდიან: ინდოელი ჰამფი კონერუ (2607), ჟაო სიუე (ჩინეთი, 2568), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2566), ნანა ძაგნიძე (2557), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2543), ბელა ხოტენაშვილი (2527), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2527) და პია კრამლინგი (შვედეთი, 2525). ძაგნიძისა და ხოტენაშვილის გარდა, ჩვენებურთაგან ასეულში არიან: 31. **სალომე მელია** (2453), 33. **ნინო ხურციძე** (2452),

47. **ლელა ჯავახიშვილი** (2430), 51. **ნინო ბაციაშვილი** (2425), 68. **სოფიკო გურამიშვილი** (2398), 84. **თამარ წერეთელი** (2375), 85. **მერი არაბიძე** (2374), 86. **სოფიკო ხუხაშვილი** (2374), 92. **მაია ლომინეიშვილი** (2366). ვაჟთა პირველ ათეულში არიან: ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი (2872), რომელმაც ამას წინათ ინდოელი ვიშვანათან ანანდი დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, ლევონ არონიანი (სომხეთი, 2803), ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი, 2793), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2786), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2785), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2783), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2782), ბორის გელფანდი (ისრაელი, 2777), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2773), პიოტრ სვიდლერი (რუსეთი, 2758). საქართველოს ნაკრების ლიდერმა ბაადურ ჯობავამ 2705 პუნქტით 46-ე ადგილზე აინაცვლა. სხვა ქართველ მოჭადრაკე ვაჟთაგან პირველ ასეულში მოხვედრა ვერავინ შეძლო.

ლაშა დიდია

◎ ძიუდო

ორი „ბრინჯაო“ და 200-200 ქულა

იაპონიის დედაქალაქში დამთავრდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი — ტოკიოს „დიდი სლემი“. ქართველმა ფალავნებმა

ამ შეჯიბრებაზე ორი მესამე ადგილი დაიკავეს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ გუნდი უმთავრესად ახალგაზრდებით დააკომპლექტა. გამოცდილთაგან მხოლოდ ავთანდილ ჭრიკიშვილი (81) და ვარლამ ლიპარტელიანი (90) გავიდნენ ტატამზე. სწორედ მათ დაიმსახურეს ბრინჯაოს მედლები და 200-200 სარეიტინგო ქულა. ჭრიკიშვილი შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაერთო. ჯერ ისლანდიელი სვეინბიორნ იურა წუთსა და 53 წამში ორი ვაზარით ჩამოიშორა გზიდან, მერე ახალგაზრდებში მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, ბერძენ ალექსიოს ნტანაციდისს ვაზარით სძლია. მეოთხედფინალში იაპონელ ტაკანორი ნაგასესთან დამარცხდა. რეპეშაჟში ავთანდილ ჭრიკიშვილმა ჩერნოგორიელ სრჟან მრვალიევიჩს ერთი შიდოს უპირატესობით (2:1) მოუგო. გადამწყვეტ პაექრობაში ამერიკელ ტრევის სტივენსს 36 წამში აჯობა და ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მარცხისთვის რევანში აიღო.

90 კილოში პირველ ნომრად განთესილმა ლიპარტელიანმა ზედიზედ იპონით სძლია იაპონელ ჰიროტაკა კატოს და გერმანელ აარონ ჰილდებრანდს, მესამე წრეში კი იაპონელ მასიუ ბეიკერს დანებდა. რეპეშაჟის ფინალში კიდევ ერთ იაპონელს — შოჰეი შიმოვადას ერთ წუთში ორი ვაზარი აართვა და მესამე ადგილზე გავიდა.

გივი გაგუა

სურათებზე: ავთანდილ ჭრიკიშვილი და ვარლამ ლიპარტელიანი.

◎ კალათბურთი

მხოლოდ „დინამო“

VII ტურის შემდეგ თბილისის „დინამოს“ სახით სუპერლიგას ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ირაკლი ხოშტარიას გუნდმა მანამდე მასავით დაუმარცხებლად მოთამაშე „არმია“ დაჯაბნა — 79:61.

ძალოვნებმა მხოლოდ შესვენებამდე გაუწიეს მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა. შეხვედრის ბედი „თეთრ-ლურჯთა“ მიერ ფარქვეშ ბრძოლაში მოპოვებულმა უპირატესობამ გადაწყვიტა (მილოშევიჩი, კარტერი, პეშიჩი), რასაც ლეჟავასა და ჭოჭუას ზუსტი სამქულიანები დაემატა.

დანარჩენი შედეგები: „სოხუმი“—„ოლიმპი“ 82:74, „ბათუმი“—„მაკაბი“ 110:79, „რუსთავი“—შსს აკადემია 71:69. ისვენებდა „ქუთაისი“.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ — 6, „ბათუმი“, „არმია“, „ქუთაისი“ — 5-5, შსს აკადემია, „სოხუმი“ — 3-3, „ოლიმპი“ — 1, „მაკაბი“, „რუსთავი“ — 0 მოგება.

7 დეკემბერს ითამაშებენ: „მაკაბი“—„რუსთავი“ (12 საათზე), „არმია“—„ქუთაისი“ (14 საათზე), შსს აკადემია — „სოხუმი“ (16 საათზე), „ოლიმპი“—„დინამო“ (18 საათზე). ისვენებს „ბათუმი“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

XXV ეროვნული ჩემპიონატის XIV ტური

„ცხინვალი“—„დინამო“ 0:4, „ჩიხურა“ — „ვიტ-ჯორჯია“ 3:0, „გურია“ — „სიონი“ 1:2, „დილა“ — „ტორპედო“ 3:0, „ბაია“—„მერანი“ 0:0, „ზესტაფონი“ — „მეტალურგი“ 2:1.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ — 33, „ჩიხურა“ — 29, „გურია“ — 24, „დილა“, „მეტალურგი“ — 22-22, „ზესტაფონი“ — 21, „ტორპედო“, „სიონი“ — 19-19, „ვიტ ჯორჯია“ —15, „მერანი“ — 13, „ცხინვალი“ — 10, „ბაია“ — 8 ქულა.

* * *

იტალია. „იუვენტუსი“—„უდინეზე“ 1:0, „ატალანტა“—„რომა“ 1:1, „კატანია“—„მილანი“ 1:3, „ინტერი“—„სამპდორია“ 1:1, „კიევი“—„ლივორნო“ 3:0.

ესპანეთი. „ბილბაო“—„ბარსელონა“ 1:0, „ელჩე“—„ატლეტიკო“ 0:2, „რეალი“—„ვალიადოლიდი“ 4:0, „გრანადა“—„სევილია“ 1:2, „ვალენსია“—„ოსასუნა“ 3:0.

ინგლისი. „ჰალი“ — „ლივერპული“ 3:1, „ტოტენჰემი“ — „მანჩესტერი“ 2:2, „კარდიფი“ — „არსენალი“ 0:3, „ჩელსი“ —„საუთჰემპტონი“ 3:1, „სიტი“—„სუონსი“ 3:0.

გერმანია. „ბაიერნი“—„ბრაუნშვაიგი“ 2:0, „მაინცი“—„ბორუსია“ 1:3, „ლევერკუზენი“—„ნიურნბერგი“ 3:0, „ვოლფსბურგი“—„ჰამბურგი“ 1:1, „შალკე“ — „შტუტგარტი“ 3:0.

საფრანგეთი. „პარი სენ-ჟერმენი“—„ლიონი“ 4:0, „მონაკო“—„რენი“ 2:0, „ბორდო“—„აიაჩო“ 4:0, „ტულუზა“—„სოშო“ 5:1, „სენტ ეტიენი“—„რეიმსი“ 4:0.

გიორგი ზოთაძე

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

„რაღაც ახალი, სულმთლად ახალი“

სულმნათი ოთარ ჭილაძის პოეტური სტრიქონი გამახსენდა „ცისფერი გალერეის“ საგამოფენო დარბაზში შესვლისას. მართლაც, სრულიად ახლებური, დამთვალიერებელთა უმრავლესობისთვის, ალბათ, ცოტა უცნაურიც, ნამუშევრებია აქ, ამჯერად, გამოფენილი, სამი, ჭეშმარიტად „სხვაგვარად მოაზროვნე“



მხატვრისა, რომელთაც ექსპოზიციისთვის „მთვარის მუზეუმი“ დაურქმევიათ.

მადლობა ღმერთს, ამ სამთაგან, დარბაზში, ერთ-ერთი ავტორი მხატვარი **მანუჩარ ოქროსცვარიძე** შემხვდა, თორემ, ნამეტანი დავიბნეოდი.

არა, ძმებო, ფიროსმანის, გუდიაშვილის, კაკაბაძის, ახვლედიანის... ქვეყანაში, მართლაც, რაღაც ახალი, სულმთლად ახალი ფორმა სახვითი ხელოვნებისა მოუძებნიათ ამ უდაოდ ნიჭიერ ბიჭებს — **მანუჩარ ოქროსცვარიძეს, კონსტანტინე მინდაძეს, როკო ირემაშვილს** და მასში კონცეპტუალიზმის შინაარსი ჩაუდევთ.

ჰოდა, მანუჩარ ოქროსცვარიძის დახმარებით აღარ დავიბენი. მიმოვდივართ საგამოფენო დარბაზში და მანუჩარი მიამბობს: — **ყოველივე დაიწყო 1969 წლის 14 ნოემბერს, როდესაც „ნასამ“ მთვარისკენ გაგზავნა „აპოლო-12“, ექვსმა ცნობილმა ამერიკელმა ხელოვანმა ენდი უორჰოლმა, რობერტ რაუბენბერგმა, დევიდ ნოვრისმა, ფორესტ მაიერსმა, ჯონ ჩემბერლენმა და კლაეს ოლდენბურგმა შექმნეს მინიატიურული ზომის მხატვრული ობიექტი... აი, ნახეთ (მივყავარ ობიექტთან, რომელიც შუა დარბაზში დგას)... დაარქვეს „მთვარის მუზეუმი“ და „აპოლო-12“-ის მეშვეობით გაგზავნეს მთვარეზე, როგორც ამერიკული კულტურის ერთ-ერთი ფორმა. ეს, ასე ვთქვათ, მინიატიურული მხატვრული ობიექტი რამდენიმე ეგზემპლარი დამზადდა და გახდა კონცეპტუალური ხელოვნების ნიმუში. ერთ-ერთი ფირფიტა ამ ეგზემპლარებისა, მოხვდა ამერკელი კურატორის ჯეიდ დელინგერის კერძო კოლექციაში, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ეს ობიექტი თბილისში ჩამოეტანა და ქართველ მხატვრებთან ერთად გაემართა ექსპოზიცია. მართლაც, დელინგერმა ჩვენ სამნი შეგვარჩია და აი, უკვე ნამუშევრებიც გამოვფინეთ.**

...როკო ირემაშვილს სამი ასტრონავტი დაუხატავს — უკვე მოხუცები, მანუჩარ ოქროსცვარიძის უჟანგავ ფოლადში შესრულებული სკულპტურა თავისუფალ სივრცეში მოძრავ ხელოვნურ ობიექტს გამოსახავს. იქვეა ბიჭის ფიგურა, რომლის თავიც მთელ ამ სამყაროს ირეკლავს. დროისა და სივრცის ერთობლიობას გამოხატავს კონსტანტინე მინდაძის სამი ნამუშევარი...

ეს პროექტი საქართველოს სახელმწიფო ეროვნული მუზეუმის, ამერიკის საელჩოს და ჟურნალ „ნეიშენალ ჯეოგრაფიკსის“ მხარდაჭერით განხორციელებულა.

— საინტერესოა, აბსოლუტურად ახალი სიტყვაა, მართლაც რომ პირველმკვალავები ხართ, ჩემო მანუჩარ, მაგრამ, რა ვქნა, მე პირადად, დავით კაკაბაძის „იმერეთი“ და „დედის ფიქრები“, ქვეყანას მირჩევნია...

— რა თქმა უნდა, ბევრს ურჩევნია, მაგრამ ხომ უნდა მიეჩვიოს თანამედროვე ქართველი საზოგადოება ახალ ფორმებს სახვით ხელოვნებაში? ჩვენი მიზანია, რომ დავაინტერესოთ დამთვალიერებელი, საფიქრალი გავუჩინოთ, სიახლე შევაგრძნობინოთ... ამერიკაში მიჩვეულები არიან ამ სიახლეებს... ჯეიდ დელინგერი ექსპოზიციის წაღებას გეგმავს შტატებში, სავარაუდოდ, ქალაქ ტამპაში...

— ალბათ, თქვენც გაგიყოლებთ...

—შეიძლება...

— სულ წარმატებებს გისურვებთ, შენ და შენს მეგობრებს, ჩემო მანუჩარ!.. როგორც იტყვიან, ძირს კონსერვატიზმი! ასეთ ხალხს არც ფიროსმანი მოსწონდათ თავის დროზე!.

— ჩვენც მაგის იმედი გვაქვს!

სურათზე: მარცხნიდან: კონსტანტინე მინდაძე, როკო ირემაშვილი, მანუჩარ ოქროსცვარიძე (როკო ირემაშვილის ნამუშევრის ფონზე).

ბედი პოეტისა...

აღბარ მახსოვს, როგორ გავიცანით ერთმანეთი, ალბათ, სადმე, პოეზიის საღამოზე... მაღალ-მაღალი, ულვაშებგადაწკეპილი, მეტყველი თვალებით... ხშირად ვხვდებოდით რუსთაველის გამზირზე, ერთხელაც ჩამოვჯექით ძელ-სკამზე და რამდენიმე ლექსი წამიკითხა — ფიქრიანი, სიღრმისეული, ქართული, კლასიკური ფორმისა...

მე, რა ვიცოდი... თურმე, ერთი მარტოხელა, მარტოსული კაცი იყო **რამინ ამონაშვილი** — პოეზიასთან წილნაყარი, ცხოვრების დავიდარაბით დატვირთული და არავის შემწუხებელი, მხოლოდ და მხოლოდ ქართული ლექსის სურნელებითა და გემოთი რომ საზრდოობდა...

ერთხელაც ჩამოვჯექით რუსთაველის გამზირზე, უცხოეთში მინდა წავიდეო, მითხრა საუბრისას. ალბათ, ცოტა ხნით, თორემ სამუდამოდ ჩემს მიწაწყალს რა დამატოვებინებსო... მერე რამდენიმე ნაწყვეტიც წამიკითხა პოემიდან „დონ კიხოტი“. ისე, ახლა რომ ვფიქრობ, თვითონაც დონ კიხოტს ჰგავდა — მაღალი, ხმელ-ხმელი... ცხოვრების წესითაც კი... სამი კრებული გამოეცა ლექსებისა, რაღა თქმა უნდა, კეთილი ადამიანების დახმარებით... მერე, ერთხელაც, ჩვენს გაზეთში გამოაქვეყნა შთამბეჭდავი ლექსი, ერთი-ორჯერაც შემოგვიარა, გვესაუბრა...

...რამდენიმე დღის წინათ, საკუთარ სახლში გარდაცვლილი უპოვნიათ მეზობლებს რამინ ამონაშვილი. ვინ იყო პატრონი? ისევ მეზობლები, ისევ მეგობრები მარტოსული კაცისა, რომლებმაც მუხათგვერდის სასაფლაოზე დაკრძალეს რამინი...

აი, ბედი პოეტისა...

ვილენ მარდალეიშვილი

◎ ინფორმაცია

კაპანაძე ოფიციალურად დაინიშნა, ძნელაძე მადლობით გააცილეს

თავდაცვის სამინისტროში პოლკოვნიკ ირაკლი ძნელაძის თანამდებობიდან გაცილების და გენერალ-მაიორ ვახტანგ კაპანაძის გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის ცერემონიალი გაიმართა.

საზეიმო ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, მისი მოადგილეები, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნის ელჩები და სამხედრო ატაშეები დაესწრნენ. თავდაცვის მინისტრმა პოლკოვნიკ ძნელაძეს ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენი გადასცა და გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.

ცერემონიალზე გენერალ-მაიორ კაპანაძეს ახალი სამხედრო წოდების სამხრეები საზეიმოდ გადაეცა. მოგვიანებით საზეიმო მიღება გაიმართა, რომელიც მუსიკალურად თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ორკესტრმა გააფორმა.

სუბარი საკადრო ცვლილებებს ახორციელებს

სასჯელაღსრულების სამინისტროში რამდენიმე საკადრო ცვლილება განხორციელდა, — ამის შესახებ სასჯელაღსრულების მინისტრმა გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

მისი თქმით, სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას გიორგი კიკნაძე დაიკავებს, რომელსაც მანამდე გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

მინისტრის განცხადებით, გიორგი კიკნაძეს ზვიად ლათიბაშვილი შეცვლის. მისივე თქმით, რამდენიმე დღის წინ განხორციელდა ცვლილება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე და მიხეილ ღურწკაია დიმიტრი დარბაისელმა ჩაანაცვლა.

რაც შეეხება მიხეილ ღურწკაიას, სოზარ სუბარის განმარტებით, ჯერჯერობით უცნობია რა თანამდებობას დაიკავებს იგი.

ორმა ახალმა მოსამართლემ ფიცი დადო

უზენაესს სასამართლოში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების წინაშე ახალმა მოსამართლეებმა გერმანე დადეშქელიანმა და ლევან მიქაბერიძემ ფიცი დადეს.

ფიცის დადების ცერემონიალს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი დაესწრო. მიმდინარე წლის 19 ნოემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მოსამართლის თანამდებობაზე გასამწესებლად საჭირო ხმების რაოდენობა მიიღეს გერმანე დადეშქელიანმა, გიორგი მიროტაძემ, ლევან მიქაბერიძემ, ციცინო კიკვაძემ, მურთაზ მეშველიანმა, ნატალია ნაზღაიძემ, გოჩა ფუტკარაძემ, მერაბ ღვინიაშვილმა, ნინო შარაძემ, ნანა ჭიჭილეიშვილმა, ხათუნა ხომერიკმა და ნანა ჯანხოთელმა. ორი კანდიდატის გარდა, 10 მოსამართლეს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდა, ამიტომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე დღეს ფიცი მხოლოდ ორმა ახალმა მოსამართლემ დადო.

რაც შეეხება მოსამართლეთა დანიშვნის შემდეგ მათ გამწესებას, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ განაცხადა, ყველა მოსამართლე რომელთა დანიშვნა მოხდა, გადანაწილდა ძირითადად ქუთაისის, ბათუმისა და თბილისის სასამართლოებში. მურუსიძემ ახლად დანიშნულ ორ მოსამართლეს, რომლებმაც ფიცი დადეს, მიულოცა.

ინტერპრესი

ახლო მეგობრები — მიხეილ მურვანიძე, ბონდო მიქაიაშვილი, ვილენ მარდალეიშვილი, გია ტულუში, ოლეგ ლომთათიძე ღრმა სამძიმარს უცხადებენ ზაზა წულუკიძეს მამის — შესანიშნავი მამულიშვილის, ქართული საოპერო ხელოვნების ამაგდარი მოღვაწის

გივი წულუკიძის

გარდაცვალების გამო.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

განცხადება

2013 წლის 7 დეკემბერს, დღის 12 საათზე გაიმართება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ისნის სავანეს“ წევრთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. მიმდინარე საკითხები.

კრება ჩატარდება ქ. თბილისში, დოდაშვილის ქ. №18, ამხანაგობის კუთვნილი მშენებარე სახლის I სართულზე. ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებზე: 277-53-83, (599) 216-214.

გამგეობა

◎ ჩვენი კარაბადინი

ინვალიდობა ციფრებსა და ფაქტებში

ინვალიდად მიჩნეულია ადამიანი, ვისაც ჯანმრთელობის მყარი დარღვევა აქვს, რაც განპირობებულია დაავადებებით, ტრავმების ან დეფექტების შედეგებით და რომლებსაც მივყავართ სიცოცხლისუნარიანობის შეზღუდვასთან და იწვევენ მისი სოციალური დაცვის აუცილებლობას.

მსოფლიოში 1 მილიარდზე მეტ ადამიანს აქვს ინვალიდობის რომელიმე ფორმა. ეს პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით 15 პროცენტია.

იმ ქვეყნებში, სადაც შემოსავლების უფრო დაბალი დონეა, ინვალიდობა გავრცელებულია უფრო ვრცლად.

შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანთა 50 პროცენტს არ გააჩნია სამედიცინო მომსახურების გადახდის შესაძლებლობა.

ინვალიდები 2-ჯერ უფრო იშვიათად ახერხებენ მონახონ კვალიფიციური ექიმი, მათ 3-ჯერ უფრო ხშირად ეუბნებიან უარს სამედიცინო დახმარებაზე და ისინი 4-ჯერ უფრო ხშირად აწყდებიან ცუდ სამედიცინო მომსახურებას, ვიდრე ჯანმრთელი ადამიანები.

მსოფლიოში 47 პროცენტი ინვალიდი მამაკაცი და 80 პროცენტი ქალი უმუშევარია, მაშინ, როდესაც არაინვალიდ ადამიანთა შორის უმუშევარია მამაკაცების 35 პროცენტი და ქალების 70 პროცენტი. მდიდარ ქვეყნებში არ მუშაობს ინვალიდების 56 პროცენტი (არაინვალიდ ადამიანთა 25 პროცენტთან შედარებით).

ინვალიდების 20-40 პროცენტი შემოსავლების მაღალი დონის ქვეყნებშიც კი არ არის სახელმწიფოს დახმარებით კმაყოფილი.

რეგიონალური ინტეგრაციის 150-ზე მეტმა ქვეყანამ და ორგანიზაციამ უკვე მოაწერა ხელი გაეროს კონვენციას ინვალიდების უფლებების შესახებ და 130-ზე მეტმა მოახდინა მისი რატიფიკაცია.

მსოფლიოში ყველაზე ღარიბ ადამიანთა 20 პროცენტს აქვს ინვალიდობის ნიშნები, და ისინი, როგორც წესი, თავიანთ სათემოებში ყველაზე არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან.

განვითარებად ქვეყნებში შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების 90 პროცენტი სკოლებში არ დადიან.

დღეს მსოფლიოს 45 ქვეყანაში მიღებულია შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანების დისკრიმინაციასთან ბრძოლის სპეციალური კანონები.

1964 წლიდან მსოფლიოში ეწყობა საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებები ინვალიდებისთვის —პარალიმპიური თამაშები. ტრადიციულად ისინი იმართება მთავარი ოლიმპიური თამაშების შემდეგ, 1988 წლიდან კი — იმავე სპორტულ ობიექტებზე.

◎ ფენომენი

მზით ნაკვებნი

ზოგიერთი მათგანი ათეულობით წლის მანძილზე საჭმელს არ ჭამს

ამ ტიპის ადამიანებს სხვადასხვა სახელწოდებით იხსენიებენ, მაგალითად ზოგიერთნი მათ „აუტოტროფულ“ (ანუ თვითკმარის) არსებებს უწოდებენ, თავად კი საკუთარ თავს „მზით მკვებავებს“ ეძახიან. ამბობენ, რომ ეს ადამიანები ჰომო საპიენსის ევოლუციის ახალ საფეხურს, მისი ახალი ბიოლოგიური სახეობის წინამორბედებს წარმოადგენენ. დედამიწაზე მათი ზუს-

ტი რიცხოვნობა არავისთვის არაა ცნობილი, ისე კი ვარაუდობენ, რომ ისინი, დაახლოებით, რამდენიმე ასეულიდან ათი ათას კაცამდე უნდა იყვნენ.

თავად „მზით მკვებთა“ განცხადებით, მათ უსაჭმლოდ, ზოგჯერ კი უწყლოდაც, მხოლოდ მზის ენერგიით საზრდოობა შეუძლიათ. თუმცა, ამ ენერგიასაც რამდენიმე სახელწოდება აქვს — ზოგჯერ მას კოსმიურს, პრანულს, ღვთიურს და ა. შ. უწოდებენ. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამით ადამიანში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების არსი არ იცვლება: **სწორედ ამ ენერგიის წყალობით სხეულის უჯრედებში ცოცხალი ორგანიზმის არსებობისთვის აუცილებელი მეტაბოლიზმი და სინთეზი მიმდინარეობს.** ადამიანების უმრავლესობა მათ უცნაურ ხალხად აღიქვამს, ზოგსაც ისინი თაღლითები ჰგონია. ამასობაში კი „მზით მკვებავთა“ მიმდევართა რიცხვი წლიდან წლამდე მატულობს.

კრასნოდარელი ზინაიდა ბარანოვას თქმით, უსაკვებოდ და უწყლოდ იგი 2000 წლის აპრილიდან მოყოლებული ცხოვრობს. ამასთან, ეს 70 წლის ქალბატონი ძალიან მხნე და აქტიურია, მშვენივრად გამოიყურება და სხვადასხვა ქალაქში ლექციებსაც კითხულობს.

მეცნიერებისთვის კი, რომლებიც „მზით მკვებავთა“ ფენომენს იკვლევენ, ეს ქალბატონი გარკვეული ხნის მანძილზე ერთგვარ პრობლემას წარმოადგენდა, რადგან გამოკვლევების ჩატარება არაფრით სურდა. მათ შორის ყველაზე მტკიცე უარს იმათ ეუბნებოდა, ვინც მასზე დაკვირვებას ხანგრძლივად აპირებდა. „საიმისოდ, რომ სადღაც გამოკეტილში ვიჯდე, არც დრო მაქვს, არც სურვილი. პირადად მე ვინმესთვის რაიმეს დამტკიცებას სულაც არ ვაპირებ“. მაგრამ ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ მედიკოსებმა ქალბატონი ზინაიდას დაყოლიება შეძლეს და მას გამოკვლევა ქალაქ ზელენოგრადის ერთ-ერთ სამედიცინო ცენტრში ჩაუტარდა, რომელიც რადიოტალღური დიაგნოსტიკის თანამედროვე ხელსაწყოებითაა აღჭურვილი.

— ესაა უახლესი უნიკალური ტექნოლოგია, — ამბობს ცენტრის გენერალური დირექტორი, პროფესორი ალექსანდრე სემენი. — ორგანიზმის ქსოვილების ელექტრომაგნიტურ ნიშნებს კომპიუტერი ამუშავებს, რომელიც შემდგომ ყველა ორგანოს უჯრედის დონეზე მისი მდგომარეობის შესახებ დასკვნას იძლევა. ახლა წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როცა ზინაიდა ბარანოვას სხეულზე 32 პარამეტრით აღებულმა გაზომვებმა გვაჩვენა, რომ **მას უკლებლივ ყველა ორგანო სრულ წესრიგში აქვს, არის მხოლოდ უმნიშვნელო ფუნქციური ცვლილებები.** მრავალი წლის მანძილზე დაახლოებით ექვსი ათასი პაციენტის მდგომარეობა შევამოწმეთ ამ მეთოდით და ასეთი შედეგი მხოლოდ ოთხ მათგანს ჰქონდა!

მართალია, აღნიშნული გარემოება იმის უტყუარ საბუთად არ გამოდგება, რომ ზინაიდა ბარანოვა მართლაც უსაკვებოდ და უწყლოდ არსებობს, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორ შეიძლება ყველა ორგანოს ქსოვილები ნორმაში ჰქონდეს 70 წლის ქალს, რომელსაც თავის დროზე ინვალიდობის მეორე ჯგუფი მიაკუთვნეს და, ამავე დროს, მთელი რიგი პათოლოგია დაუდგინეს?! თავად ქალბატონი ზინაიდა კი ამტკიცებს, რომ მისმა სხეულმა უჯრედის დონეზე რადიკალური ტრანსფორმაცია განიცადა, რა დროსაც იგი გრძნობდა, რომ მის ორგანიზმში გარკვეული განახლების პროცესი მიმდინარეობს.

ინფორმაცია თემაში

ზიმშილობის საოცარი შემთხვევები მრავალ რელიგიურ წყაროშია აღწერილი. მაგალითად, კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში 7-დან 28 წლამდე ადამიანთა უსაკვებოდ და უწყლოდ არსებობის ექვსი შემთხვევაა აღწერილი, თანაც ყველანი ქალები იყვნენ, რომელთაგან ზოგიერთი წმინდანადაა შერაცხული და კანონიზებული. მაგალითად, ფოლინოელი წმინდა ანჯელას საკვები და წყალი ათი წლის მანძილზე არ მიუღია, ეკატერინე სიენელს — რვა წლის მანძილზე, სტიგმოსან ბავარიელ ტერეზა ნეიმანს კი ოცდაათი წლის მანძილზე. მართლმადიდებლობაში ცნობილია სერაფიმე საროველის სულიერი გმირობა, რომელმაც ტყეში დიდ სიპ ქვაზე ათასი ღამის განმავლობაში იდგა და უფალს სულის გადარჩენას ევედრებოდა, დღისით კი სენაკში ბრუნდებოდა და ისევ ქვაზე დგებოდა დილიდან საღამომდე. ინდოეთში იოგი პრალად ჯანი ცხოვრობს, რომელსაც საკვები უკვე 74 წელია არ მიუღია. იგი ინდოეთის სამხედრო ჰოსპიტალში მედიკოსთა დაკვირვების ქვეშ 411 დღე იმყოფებოდა და ამ ხნის მანძილზე დღეში მხოლოდ ნახევარ ჭიქა წყალს სვამდა.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთილი გარეულებისგან

სკანდალური დაპირისპირება ღარიბაშვილსა და ხუხაშვილს შორის!

კონფიდენციალურმა წყარომ, რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პიროვნებაა, „ასავალ-დასავალს“ სკანდალური ინფორმაცია მიაწოდა იმის შესახებ, თუ რატომ მოხდა „ოცნების რუხ კარდინალად“ მონათლული გია ხუხაშვილის ჩაჩოჩება და რატომ დაკარგა მან პრივილეგირებული პოზიცია ივანიშვილის კარზე. ადრე თუ აბსოლუტურად ყველა ტელეგადაცემაში, პოლიტიკით დაწყებული და იუმორისტულით დამთავრებული, ხუხაშვილი იჯდა, ახლა მას იშვიათად თუ მოჰკრავთ თვალს ტელეეკრანზე. როგორც ამბობენ, ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ დირექტორს ირაკლი წულაიას პოლიცია ნარკოტიკების მოხმარების გამო დააკავებდა. გია ხუხაშვილს ირაკლი ღარიბაშვილთან დაურეკავს და უწმაწური სიტყვებით მიუმართავს, ეს ვინ დაიჭირეო... ირაკლი ღარიბაშვილი ბიძინა ივანიშვილთან მისულა და საკითხი პრინციპულად დაუყენებია, — „ან — მე, ან ხუხაშვილიო“. ივანიშვილმა რა გადაწყვეტილებაც მიიღო, ამას კარგად ვხედავთ — ღარიბაშვილი დღეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრია, ხუხაშვილი კი — ჩაჩოჩებული და ჩამოლაბორანტებული.

„ასავალ-დასავალი“

„ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირება მწვავდება

„ქართულ ოცნებაში“ რომ დაპირისპირებაა, ამას პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი მერაბ შათირიშვილიც ადასტურებს. მისი თქმით, სიტუაცია აუცილებლად უნდა დარეგულირდეს, რათა მთელი კოალიცია არ გახდეს „ნაციონალების“ საქილიკო. — მე როგორც ვიცი, ეს არის წინასაარჩევნოდ შექმნილი პრობლემების გამოძახილი. ჩემი აზრით, ამ პრობლემებზე პარტიაში უნდა იყოს მსჯელობა, იმედი მაქვს, პოლიტსაბჭოს მომავალ სხდომაზე ყველაფერს დაარქმევენ თავის სახელს.

„კვირის ძრონიკა“

რა ჯდება სამართლიანობის აღდგენა

ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენაზე უარს ამბობს. მთავრობაში ამის მიზეზად მოსალოდნელ ფინანსურ სიძნელეებს ასახელებენ. ექსპერტები და უფლებადამცველები კი უფულობის მომიზეზებით სამართლის აღდგენაზე უარის თქმას ცინიზმად მიიჩნევენ.

როგორც იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, მართლმსაჯულების დამდგენი კომისია აღარ შეიქმნება. მისი თქმით, როგორც კი ქვეყანაში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა დაზარალებულთა მატერიალური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მზად იქნება, კომისიის შექმნის საკითხი იმ წერტილიდან გაგრძელდება, სადაც გაჩერდა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი ვარაუდობს, რომ კომპენსაცია, შესძალოა, რამდენიმე ასეულ მილიონ ლარს შეადგენდეს.

„რეზონანსი“

„სოროსის დაკვეთით ხელისუფლება ძვეყნის დაშლას აპირებს“

აცხადებს ლეიბორისტი გიორგი გუგავა თვითმმართველობისა და რეგიონული მოწყობის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით, — ეს კანონი მომზადებულია სოროსის ფონდში, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის დაშლასა და დანაკუწებას. როგორც თავის დროზე სააკაშვილმა შექმნა ცხინვალის ადმინისტრაცია და ახლა მავთულხლართები იბმება, იგივე პრინციპები და იგივე ნაღმებია ჩადებული ამ კანონპროექტში. ეს გამოიწვევს სეპარატიზმის გაღვივებას და ქვეყნის დაშლას.

„ახალი თაობა“

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ბიჭი გოგოს კოცნის.

— პრეზერვატივი იყიდე? — ეკითხება წამიერად ტუჩებგამოთავისუფლებული გოგო.

— არა!

— მაშ ისე რად მკოცნი, თითქოს უკვე ნაყიდი გქონდეს?

* * *

— **გმადლობთ.**

— რისთვის?

—„წადი შენისს..“ ნაცვლად მუდამ „მადლობას“ გეუბნები, რათა არ გეწყინოს.

— კარგი მეთოდია.

— გმადლობთ...

* * *

— **აი, თქვენ ცნობა იმის შესახებ, რომ თქვენგან ცნობა მჭირდება.**

— ამის პასუხად ჩვენ მოგცემთ ცნობას, რომ ცნობებს არ ვიძლევით.

* * *

ხუთი რამ, რაც ქალმა უნდა გააკეთოს თავის ცხოვრებაში:

1. თვალები აუხილოს დაქალს;
2. დანებდეს წუთიერ სისუსტეს;
3. აიღოს ფული შეძახილით „ნაძირალავ, ვინ გგონივართ?!“
4. გახდეს 3 კილოგრამით;
5. ქმრის მობილურის ყურადღების შესწავლის გზით გამოიცნოს, ვინ არის ოლეგი.

* * *

— **საყვარელო,** მოდი სახეებით ვითამაშოთ! — სთავაზობს ცოლი ქმარს.

— მოდი.

— შენ ვინ იქნები? — ინტერესდება ცოლი.

— ოქროს თევზი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ყველაზე მეტი, სამჯერ გამოგვივიდეს, მეტი არა!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24